ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 6 ოქტომბერი, 2022 №197 (8975) ფასი: 80 თეთრი

## ლუგარის ლაბორატორია კომუნიკაციისთვის რუსულ ენას რატომ იყენებს?!



გვ.4



# „ირაკლი კობახიძე „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე გახდება“



„რა „ხალხის ძალა“, რა „ქართული ოცნება“, ეს არის ერთი რუსული ძალა“

## გიორგი ვაშაძე: „ქუჩაში გავარდნისთვის მზად არ ვართ“



გვ.3



გვ.2

## „კალაძისნაირი უზრდელი მერი ჯერ თბილისს არ ჰყოლია!“

თაკო ჩარკვიანი: „ჩინჩალაძე-მურუსიძისა და ამ პროკურატურის ხელში, რომელ საარჩევნო რეფორმაზეა საუბარი“

## „ოპოზიციამ დეპუტატობის თამაშს თავი მალე უნდა დაანებოს“



გვ.2

ლაშა ჩხარტიშვილი: „საერთაშორისო ვითარება, უკრაინის გამარჯვება მაძლევს იმედს, რომ საქართველოც არ იქნება განწირული“

## „რუსულ მითებს უკრაინელები ვაქარწყლებთ“



გვ.4

უკრაინელი სამხედრო: „უკრაინის არმიაში რუსეთში გამოცხადებულ მობილიზაციას სიხარულით ხვდებიან“

„ჩვენი მიზანი რუსეთის ფრაგმენტაციაა“

## ნიკოლოზ ბასილაშვილი: „თავს დამნაშავედ არ ვთვლი“

ბასილაშვილის დედამ ნელი დოროყაშვილი სიცრუეში ამხილა?



გვ.5

1993230720223

3 ბიძინა ივანიშვილი „კრედიტ სუისთან“ მიმდინარე დავაზე, სინგაპურის სასამართლოში გამოიკითხა

5 თსუ-ის ყოფილმა ბუღალტერმა უნივერსიტეტის ანგარიშიდან მიითვისა 165.000 ლარი

6 კვარაცხელიამ ჩემპიონთა ლიგაში გოლების ათვლა დაიწყო

5 ნევროლოგის მოთხოვნით მიხეილ სააკაშვილს თმის ნიმუში აუღეს და კუნთის ბიოფსია გაუკეთეს

# „კალაძისნაირი უზრდელი მერი ჯერ თბილისს არ ჰყოლია!“

## თაკო ჩარკვიანი: „ჩინჩალაძე-მურუსიძისა და ამ პროკურატურის ხელში, რომელ საარჩევნო რეფორმაზეა საუბარი“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს თაკო ჩარკვიანი პასუხობს.**

***– ქალბატონო თაკო, ამერიკის ელჩი კელი დეგნანი აცხადებს, რომ ხელისუფლების მხრიდან დამაბნეველი განცხადებები მოდის და ისინი ძირს უთხრიან ამერიკა-საქართველოს მეგობრობასო. რა ჩაიფიქრა „ქართულმა ოცნებამ“? გაფართოვდა ხალხის ძალა. რა არის მათი მიზანი?***

– არ არის ეს „ქართული ოცნება“! არაქართული ოცნებაა! არაქართულ საქმეს ემსახურებიან. დასავლელი პარტნიორები ამას უკვე გარკვევით ამბობენ. ელჩი ამბობს პირდაპირ, ის საუბრობს ამ ყველაფერზე. ჩვენ ხომ არ ვაბრალებთ არა?! ძალიან მძიმე ვითარებაა. კობახიძის განცხადებებთან დაკავშირებით, ნორმალურ ქვეყანაში სისხლის სამართლის საქმე აღიძვრებოდა, მაგრამ აქ ვინ უნდა გააკეთოს ეს?! გაუგონარ სიტუაციაში ვართ, ხალხო! ზოგი ექვთიმეს ეძახის ბიძინა ივანიშვილს და ზოგიც ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიას! უკვე სასაცილოა ეს ყველაფერი, სატირალი რომ არ იყოს. რა სამარცხვინო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ეს ადამიანები, რა სამარცხვინო დითირამბებს უძღვნიან მამა-მარჩენალს. ასეთი რამ, გეფიცებით, კომუნისტურ სივრცეში არ მახსენდება!

***– რა მიზანს ემსახურება ე.წ. ხალხის ძალის გაძლიერება და გაფართოება?***

– ეს არის შავრაზმული ძალის მომძლავრება, არაფერი სხვა. სრულიად განუვითარებელი ძალების, პოლიტიკურად მოუმზადებელი, უმწიფარი და ფრიად განუვითარებელი „გუნდის“ გაძლიერების მცდელობაა. რაც ქვეყნის განვითარებას, რა თქმა უნდა, აფერხებს და



ხელს უშლის. პოლიტიკურად განუვითარებელი გუნდი, შეაფერხებს ქვეყანაში პოლიტიკურ განვითარებას, აბა რას იზამს. ჯაფარიძე ერქმევა იმას, ყაველაშვილი თუ ხუნდაძე, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მე მათ საქმიანობას ვუყურებ და გაოცებული და გაკვირვებული ვარ. ფსევდო, ვითომ პატრიოტიზმზე დამყნობილი, აბსოლუტური ანტისახელმწიფოებრივი და ძირგამომთხრელი მუშაობა მიდის ქართული სახელმწიფოს მიმართ.

***– აზიანებენ ქვეყანას?***

– ცდილობენ, მაგრამ არ გამოვა. გამორიცხულია! ძალიან ფრთხილად და ფაქიზად ვიქცევით ოპოზიცია. მე ხშირად ვუწუნებ ხოლმე ამ სტრატეგიას ოპოზიციას, მაგრამ მეორე მხრივ, ევროპარლამენტარების პირდაპირი მოთხოვნა იყო, რომ არ გამოხვიდეთ პარლამენტიდან. თქვენ იცით, რომ მე მომხრე ვარ პარლამენტის დატოვების, ეს ბევრჯერ მითქვამს. თუმცა ობიექტური მინდა ვიყო და ვთქვა, რამდენი ევროპული დელეგაციაც შეგვხვდა, ყველა დელეგაციისგან მოთხოვნა იყო, არ დატოვოთ პარლამენტი. განსაკუთრებით ამ პერიოდში, როდესაც ვმუშაობთ 12-პუნქტიან გეგმაზე. ყველაფერს თავისი დრო აქვს. როცა საჭირო იყო, მაშინ დაგვეტოვებინა, ბოიკოტი რომ არ დაიჭირეს. ახლა ამის დრო არ არის. შესაძლოა ხელისუფლებამ ოპოზიციაზე გადაბრალება სცადოს. თუმცა, სინამდვილეში, ყველამ კარგად ვიცით, რომ ყველა ბერკეტი ხელისუფლების ხელშია. სასამართლოსა და პროკურატურაში ცვლილებების განხორციელება ხომ მხოლოდ მათ ხელშია.

***– ქალბატონო თაკო, კახა კალაძემ განაცხადა, ამ ოპოზიციის მოსაწონი ვერაფერი გავაკეთეთო. საუბარია საარჩევნო კოდექსის ცვლილებაზე, ვიცით, რომ 2024 წელს ელექტრონული სისტემით ჩატარდება არჩევნები. რას უწუნებთ ამ კანონპროექტს?***

– რა არის იცით, საარჩევნო კანონის ცვლილებას მართლაც რომ ამდენი ხანია ვითხოვთ. ეს ძალიან კარგია და დიდი მიღწევაა 70%, მაგრამ პუტინმა რომ ელექტრონული არჩევნები ჩაატაროს, ხომ ზუსტად იგივე იქნება?! თუ შენ, სასამართლო რეფორმები არ გაატარე და უპირველეს ყოვლისა პროკურატურის, აბა რანაირად ხდება, ინსტიტუციურად მიტაცებულ სახელმწიფოში, ელექტრონული არჩევნების ჩატარება?! ასე პუტინიც ხო ატარებს!

***– ანუ გაყალბების რისკი მაინც დიდია?***

– რა თქმა უნდა! თუ რეფორმები არ მოხდა და არ შეიცვალა სამართლებრივი სისტემა, ისე არაფერს აზრი არ აქვს. ამიტომ ვამბობ, იმ 12 პუნქტის შესრულების დროს, რომელიმე პუნქტი ამოვარდა და ამორჩევით შესრულდა, ჯერ ერთი, რომ არ მოგვცემენ სტატუსს და მეორეც, ამით არავინ არ მოტყუვდება. თუ რეფორმები არ გაატარე და აცხადებ, რომ მხოლოდ საარჩევნო სისტემას ვცვლიო, ამით ვინ მოტყუვდება?! ჩინჩალაძე-მურუსიძისა და ამ პროკურატურის ხელში, საერთოდ რომელ საარჩევნო რეფორმაზეა საუბარი. ეს ყველაფერი, კომპლექსურად, ერთდროულად უნდა გაკეთდეს. სუს-თან რომ ბინძურ გარიგებაში არიან შესული, იმ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს არჩევნების ბედი?! არ მოსწონს ოპოზიციას არაფერიო, შენ რომ ერთი პუნქტის შესრულება გინდა 12-დან, ეს როგორ უნდა მოგვეწონოს?! რა უნდა კალაძეს, რა მოვუწონოთ?! იმ სტილით ისევ ავირჩიოთ კალაძე, როგორც მანამდე აირჩიეს?! თან თბილისს რომ აგინებს, ის კალაძე?! უშვერი სიტყვებით რომ გველაპარაკება ეს უზრდელი! ასეთი უზრდელი მერი, ჯერ საქართველოს დედაქალაქს არ ჰყოლია!

***– თბილისისთვის ბევრი რამ გააკეთაო, ბევრს მოსწონს კალაძე.***

– კარგით რაა, ახლა ვის რა ორდენს გადასცემს, იმის მიხედვით ნუ ვისაუბრებთ. როცა როგორ სჭირდებათ, მაშინ ახსენდებათ ეს ხალხი. ორმაგ სტანდარტშია ქვეყანა! იმაზე რომ წავა ხელოვანი, ბეთჰოვენის სიმფონიას გაუტოლებს ბიძინა ივანიშვილს, საერთოდ რაზე ვლაპარაკობთ! რას ჰგავს ეს ყველაფერი? ძალიან უხერხული შედარებებია, როგორ შეიძლება ადამიანებმა ასე დაკარგონ სახე! რანაირად ცხოვრობენ ასე, რომ ყველაფერს და ყველა ღირებულებას ღალატობენ.

# „ოპოზიციამ დეპუტატობის თამაშს თავი მალე უნდა დაანებოს“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „საერთაშორისო ვითარება, უკრაინის გამარჯვება მაძლევს იმედს, რომ საქართველოც არ იქნება განწირული“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ლაშა, კახა კალაძე აცხადებს, რომ ოპოზიციის მოსაწონი ვერაფერი გავაკეთეთ და, სავარაუდოდ, მათ მოსაწონს ვერაფერს გავაკეთებთ. „ქართული ოცნება“ ოპოზიციის არც ერთ წინადადებას არ გაითვალისწინებს?***

– ვინც კახა კალაძის, ბიძინა ივანიშვილის და მისი ხელქვეითი ორი ირაკლის იმედზე იყო ან ძალიან მიამიტი იყო, ან უგუნური უნამუსო. შეუძლებელია, ამ ადამიანების იმედზე იყო.

თავის დროზე ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა ოპოზიციამ. არ უნდა შესულიყვნენ პარლამენტში. ახლა დადგა დრო, რომ გამოვიდნენ. არც ერთ საკითხზე ოპოზიციის არც ერთ წინადადებას „ქართული ოცნება“ არ ითვალისწინებს, რომელ თანამშრომლობაზეა საუბარი. ვის ჰქონდა იმის იმედი, რომ „ქართულ ოცნებასა“ და ივანიშვილთან შეძლებდა რაიმე სახის თანამშრომლობას. რა აზრი აქვს ისე პარლამენტში ყოფნას, თუ ვერც ერთ შენს კანონპროექტს ვერ გაიტანს, არც ერთ შენს წინადადებას არ გაითვალისწინებს უმრავლესობა, რომელიც გეხვეწებოდა, ოღონდ პარლამენტში შევსულიყავით.

შარლ მიშელის დოკუმენტის თავზე გადახევა იყო ყველაზე ნათელი მაგალითი, რომ ერწმუნა ხალხს, „ქართული ოცნება“ არის „გადამგდები.“ არ შეიძლება ამ ხალხთან თანამშრომლობა, ეს წარმოუდგენელია.

ეს ხელისუფლება პირდაპირ უარს ამბობს ევროკავშირში საქართველოს პერსპექტივაზე. იმ 12-პუნქტიანი გეგმიდან, არც ერთი პუნქტის შემსრულებელი არ არის. შეუძლებელია ხელისუფლებას უნდოდეს ევროკავშირის წევრობის სტატუსის მიღება და ასეთი განცხადებებით გამოდიოდეს. ასეთი დამოკიდებულება ჰქონდეს ოპოზიციასთან და საერთოდ ქვეყნის, ხალხის მიმართ. ან ასეთ განცხადებებს აკეთებდეს ევროკავშირის ყოფილი ელჩის თუ ამერიკის მოქმედი ელჩის მისამართით. ეს გაუგონარი რამ არის.

***– როგორ აპირებს ოპოზიცია, გაიტანოს ის პუნქტები, რომელიც თვითონ მოამზადა?***

– რომელ პუნქტების გატანაზეა საუბარი, ვინ რას გაგატანინებს?! ამის იმედი თუ აქვთ, მაშინ ან მიამიტები ყოფილან, ან ვერ ხვდებიან, რაშია საქმე. ასეთმა ხალხმა პოლიტიკას საერთოდ თავი უნდა დაანებოს. მე ვამბობ გულწრფელ ოპოზიციაზე და არა გაყიდულებზე. ამ ოპოზიციამ ძალიან სწრაფად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ძალიან მალე უნდა დაანებოს თავი ვითომ დეპუტატობის თამაშს.

***– რა უნდა ქნან?***

– უნდა დატოვონ პარლამენტი. დრო ვერ ითმენს. პარლამენტში პუფის როლის თამაშიდან უნდა გამოვიდნენ. დიდი საერთო სახალხო მოძრაობა უნდა დაიწყოს. საპროტესტო ტალღაში ვხედავ პირადად მე გამოსავალს. პარლამენტში მუშაობამ რა შედეგი მოგვცა, ვნახეთ. ევროკავშირს გადაახიეს თავზე შეთანხმება, ასეთ ხალხზეა საუბარი. იმიტომაც მოგვცეს სტატუსიც. თუმცა, ეს საერთოდ არ აღელვებს ივანიშვილს. კობახიძესა და მდინარაძეზე არც კი ღირს საუბარი.



როგორც მოსალოდნელი იყო, „ქართული ოცნება“ დეოლიგარქიზაცია-დებიძინიზაციის ნაცვლად საყოველთაო შემგუებლობას გვთავაზობს იმ ყველაფერთან, რაც ხდება დღეს ჩვენს ქვეყანაში. ქართველები, ამ ქვეყნის შვილები გარბიან და რუსები ტანკების გარეშე გვიპყრობენ. რუსული დასახლებები შენდება ბათუმში, ამას ასე გულგრილად უყურო, წარმოუდგენელია. მე ვსაუბრობ იმ ხალხზე, ვინც ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია მოახდინა. მშვიდობისმყოფელებსა და მოძმე ერზე ხომ არ ვსაუბრობ.

***– აქციებისთვის ემზადება ოპოზიცია? რა ინფორმაცია გაქვთ?***

– მე ერთადერთი, რაც დანამდვილებით ვიცი, ის არის, რომ ამ ქვეყნის გადარჩენა არის ხალხის აქტივობაში. ხალხის სურვილში, რომ საქართველოს მომავალი არის ევროკავშირში, ნატოში და არა რუსეთში, რომელიც დღეს თუ ხვალ ჩამოიქცევა. საერთაშორისო ვითარება, უკრაინის გამარჯვება მაძლევს იმედს, რომ საქართველოც არ იქნება განწირული, მაგრამ სხვის იმედად ვერ ვიქნებით, ჩვენც უნდა ვიაქტიუროთ. ხალხი უნდა გამოვიდეს ქუჩაში და თავისი პროტესტი უნდა გამოხატოს, როგორც ეს გააკეთა სწორედ ევროკავშირთან დაკავშირებით. თუ არ მოგვცემენ სტატუსს, მაშინ ერთადერთი გზა არის ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა. ამ ხელისუფლებას საკმარისი ვადა ჰქონდა, რომ ეს სტატუსი მოეპოვებინა. ოპოზიციის წინადადებები სწორედ ამას ემსახურება, მაგრამ ამაზე უარს ამბობენ. კი ბატონო, თქვან უარი, მოიპოვონ ევროკავშირის და ნატოს სტატუსიც, მაგრამ ხომ ცხადზე ცხადია, რომ „ოცნებას“ ეს არ უნდა. მათი ამოცანა არც ევროკავშირია და არც ნატო. ამას უნდა მიხვდეს ქართველი ხალხი. მე მგონია, რომ უკვე მიხვდა და ამიტომ გამოვიდა ქუჩაში.



რამზან კადიროვმა საკუთარ დაბადების დღესთან დაკავშირებით ვიდეომიმართვა გაავრცელა და თქვა, რომ „მიუხედავად დატვირთული გრაფიკისა“, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა პირადად დაურეკა და მიულოცა.

# პუტინმა კადიროვს გენერალ-პოლკოვნიკის წოდება მიანიჭა

კადიროვის თქმით, საჩუქრად პუტინისგან გენერალ-პოლკოვნიკის წოდება მიიღო.

– მინდა გაგიზიაროთ კიდევ ერთი კარგი ამბავი. რუსეთის პრეზიდენტმა გენერალ-პოლკოვნიკის წოდება მომანიჭა. განკარგულება გამოიცა 709 ნომრით. ამის შესახებ ვლადიმერ ვლადიმროვიჩმა პირადად შემატყობინა და მომილოცა. უზომოდ მადლობელი ვარ ჩვენი უმაღლესი მთავარსარდლის, ჩემი ღვაწლის დაფასებისთვის! ეს ჩემთვის დიდი პატივია. მე ვაძლევ სიტყვას, რომ გავამართლებ წინასწარ მიღებულ ნდობას, – ამბობს კადიროვი. ამავე მიმართვაში კადიროვმა თქვა, რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკაში მასწავლებლისა და ახალგაზრდობის დღეები აღინიშნება, იმის გამო, რომ მათი ფიქრი „არის მებრძოლებთან, რომლებიც იცავენ სამშობლოსა და ხალხთა ინტერესებს უკრაინაში ნაციონალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში“, გასართობი ღონისძიებები არ გაიმართება.

# კოკა მორგოშია: რუსეთის ფედერაციაში გადავდივარ... ძირითადად რუსეთში ვიცხოვრებ“

– ფაქტობრივად, მოლაპარაკებები უკვე დავასრულე და ბიზნესაქტივობით რუსეთის ფედერაციაში გადავდივარ [...] ასე



ვთქვათ, ჩემი დროის დიდ ნაწილს რუსეთში გავატარებ. ეს გადაწყვეტილება იმიტომ მივიღე, რომ ჩემი ბიზნესისთვის იქ ბევრად უფრო დიდი შესაძლებლობებია, ვიდრე აქ [...] შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად რუსეთში ვიცხოვრებ, – ამბობს ძალადობრივი, პუტინისტური ალტ-ინფოს ლიდერი კოკა მორგოშია TV პირველთან საუბარში.

ISSN 1987-9385
9 771987 938006
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ირაკლი კობახიძე „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე გახდება“

## გიორგი ვაშაძე: „ქუჩაში გავარდნისთვის მზად არ ვართ“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს სტრატეგია აღმაშენებლის ლიდერი გიორგი ვაშაძე პასუხობს.**

***– ბატონო გიორგი, მმართველი გუნდი გსაყვედურობთ, ოპოზიციის მოსაწონი ვერაფერი გავაკეთეთო. რატომ იწუნებთ საარჩევნო ცვლილებების კანონპროექტს. ოპოზიცია ხომ ითხოვდა საარჩევნო სისტემის შეცვლას, გადავდივართ ელექტრონულ სისტემაზე და რა არ მოგწონთ?***

– მთავარი საკითხი არის, რომ ნებისმიერმა კანონმა ერთი მთავარი ტესტი უნდა ჩააბაროს, არის თუ არა 12-პუნქტიან რეკომენდაციასთან შესაბამისობაში?! საარჩევნო კოდექსიც, ის დანარჩენი კანონებიც, რაც დაარეგისტრირეს, სასამართლო რეფორმის კანონი და იგივე დეოლიგარქიზაციის კანონი, ეს არის სამი კონტრარგუმენტი იმაზე, რომ არ მოგვცენ კანდიდატის სტატუსი. მანამდე მოსმენების კანონი მიიღეს. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ მათ არ უნდათ კანდიდატის სტატუსი. დანარჩენი ახლა, წვრილმან ბუღალტერიაში, რომელსაც თაღლითურად „ქართული ოცნება“ მოიგონებს ხოლმე, 70% თუ ასე შემდეგ, ამას რა მნიშვნელობა აქვს? მთავარ ფუნდამენტურ საკითხებს არ ეხება ეს ყველაფერი. თუნდაც ის, რაც 19 აპრილის შეთანხმებაში იყო.

***– რაღა დროს 19 აპრილის შეთანხმებაა, ეგ გასულ საუკუნეში იყოო, ირაკლი კობახიძემ განაცხადა.***

– კი ბატონო, სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ამ ადამიანებს ერთადერთი ამოცანა აქვთ, რომ არ მივიღოთ კანდიდატის სტატუსი. ამდენს რომ ლაპარაკობენ, მთავარზე რატომ არაფერს ამბობენ, რატომ არ გვაქვს ამ დრომდე კანდიდატის სტატუსი?! „ქართული ოცნების“ ბრალია, თორემ მოლდოვასთან ერთად ისე უნდოდათ საქართველოსთვის სტატუსის მიცემა, რომ ტიროდა მთელი ევროკავშირი. თუმცა ამათ ყველაფერი გააკეთეს, რომ არ მოეცათ. ჩამოსული იყო დელეგაცია და თქვა, ეს პროცესი როგორც მიდის, ამას ხელისუფლების ცვლილების მეტი არაფერი არ უშველის. ახლა თვალი უნდა გავახილოთ და ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. კობახიძეს და კალაძეს პრორუსობის თაღლითობაში ჩვენც ხომ არ უნდა შევყვეთ. ჩვენ, პროევროპელებმა თვალი უნდა გავახილოთ და ვთქვათ, რომ ეს ადამიანები, არათუ არაფერს არ აკეთებენ, ყველაფერს აკეთებენ საწინააღმდეგოს. ერთი ევროპელი მოიყვანონ, ვინც იტყვის, რომ ეს შეესაბამება 12-პუნქტიან შეთანხმებას!

***– დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი ივანიშვილს არ შეეხება, ისე მივიღებთო.***

– სწორედ ამიტომ, ხომ გვესმის, ეს რასაც ნიშნავს? ეს ნიშნავს, რომ დეოლიგარქიზაციის შესახებ პუნქტში ჩაიწერება – არ შეასრულა. საარჩევნო პუნქტში ჩაიწერება – არ შეასრულა! მართლმსაჯულების პუნქტში ჩაიწერება – არ შეასრულა! დეპოლარიზაციის პუნქტი – არ შეასრულა და ასე შემდეგ. ხოლო თუ არც ერთი არ შეასრულა, არ მიიღებს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს. ჩვენ მარტივი ტესტი გვაქვს, რაც რეგისტრირდება, ეს კანონები გვაძლევს სტატუსს თუ არ გვაძლევს. არც ერთი ეს კანონი არ გვაძლევს სტატუსს!

***– ყველა კანონს დაგვიწუნებენ?***

– ცალსახად! ეს ყველამ მშვენივრად ვიცით! ხანდახან მგონია, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი თავს იტყუებს. ხომ ყველამ ვიცით, თუ ივანიშვილს არ ეხება დეოლიგარქიზაციის კანონი, გვეტყვიან, რომ ეს სისულელეა! ამაში ვინმეს ეჭვი ეპარება?!

***– საზოგადოების ნაწილი თავს იტყუებსო და ალბათ პრემიერისაც ბევრს სჯერა. დუღს და გადმოდის ჩვენი ეკონომიკაო, ვაოცებთ მსოფლიოსო და სად არის ეს ეკონომიკა, ან ვინ გავაოცეთ?***

– რასაც აკეთებს „ქართული ოცნება“, ეს არის რუსული პროპაგანდისტული მუშაობის სტანდარტი. პუტინი გამოვიდა და მთელ მსოფლიოს მოუყვა, რომ ვითომ აგრესორი არის დასავლეთი, მათ დაიწყეს ომი, ხალხი მათ ჩახოცეს და ასე შემდეგ. იმ დღესვე, ზუსტად ერთი ერთში, გაიმეორა ფრაზეოლოგია ღარიბაშვილმა. თურმე ევროპა მშიერი კვდება, ვერ გადალახავს ამ ზამთარს. თურმე ისინი მშივრები კვდებიან და ჩვენ ვართ მაძღრები. ამაში ეთანხმება ვინმე?! ჩვენი მოსახლეობის 61% ყოველთვიურად საჭმლის პრობლემა აქვს. ენდი-აის კვლევებშია ეს ჩადებული. ჩვეულებრივი რუსული დეზინფორმაციის სტანდარტით მოქმედებენ. უბრალოდ, მათ ერთი რამე ეშლებათ, რომ რუსეთი პრორუსები არიან ყველანი და საქართველოში უმრავლესობა პროევროპელი საზოგადოებაა. ყოველდღე ხდება ამ ხალხის ლუსტრაცია. ჩვენი ამოცანაა, რომ ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ.



**„რა „ხალხის ძალა“, რა „ქართული ოცნება“, ეს არის ერთი რუსული ძალა“**

***– აცხადებთ, რომ გასაშვებია ეს ხელისუფლება. რას აკეთებს ამისთვის ოპოზიცია? სულ იყო მოწოდებები, რომ აი, ცხელი შემოდგომა იქნება, გამოვაცხადებთ დაუმორჩილებლობას და ა.შ. ამ დროს კი შიდა გარჩევებით და კინკლაობით არის დაკავებული ოპოზიცია. ასე როგორ შეცვლით ხელისუფლებას?***

– თქვენ ალბათ გულისხმობთ ნაციონალურ მოძრაობას. მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა არ არის ოპოზიცია. ჩვენ, „სტრატეგია აღმაშენებელი“ არანაირ კინკლაობაში არა ვართ არავისთან. აი ეს სწრაფი აქციები და ეს სპონტანური გადაწყვეტილებები, სწორედ რომ „ქართულ ოცნებას“ უნდა. ჩვენი სტრატეგია სულ სხვაა. ჩვენ ახლა ვართ „ქართული ოცნების“ მხილების ფაზაში. პროევროპელი საზოგადოება ვინც ვართ, უნდა შევთანხმდეთ, რომ ეს არის პრორუსული ძალა. მხილება როცა მოხდება, მერე გადავალთ სხვა ეტაპებზე, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. დღეს არის მათი მხილების ფაზა. ყოველდღე ისინი საკუთარი ქმედებებით და განცხადებებით ამას აკეთებენ. ერთ დღეში რუსული ფე-ეს-ბეს მიერ შექმნილ ჰიბრიდულ იარაღს, ჩვენ ვერ დავამარცხებთ. ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებით. ქუჩაში გავარდნისთვის ჯერ არ არის მზაობა. როცა ამის მზაობა იქნება, ამასაც გავაკეთებთ და ძალიან სწრაფად მოხდება ხელისუფლების ცვლილება. ჯერჯერობით „ქართული ოცნება“ ახერხებს, რომ მოსახლეობას თავი შეასაღოს, როგორც პროევროპელი პოლიტიკური ძალა.

***– რას იტყვით „ხალხის ძალის“ გაძლიერებაზე? „ოცნებიდან“ კიდევ ბევრი შეუერთდა ამ მოძრაობას. რა თამაში წამოიწყეს, რას ცდილობენ ამ ყველაფრით?***

– კობახიძემ ხომ გააკეთა აღიარებითი ჩვენება, რომ ეს ჩვენ ვართო, არავითარი სხვაობა შინაარსში არა გვაქვსო. თურმე ამერიკა ცუდია, ევროკავშირი ჩვენს სუვერენიტეტს ემუქრება და ა. შ. ეს არის ჩვეულებრივი, კაკებეშნიკების მიერ შექმნილი ნარატივები, რომლის თავზე მოხვევაც უნდათ მოსახლეობისთვის. ბოლო სერიაში ალბათ ვნახავთ, რომ კობახიძე გახდება მათი თავმჯდომარე. აქეთ ვიღაცას მოიყვანენ, ვითომ პროდასავლურს. კობახიძე ხომ უკვე გაყიდულია. საზოგადოებაში ჩამოყალიბდა აზრი, რომ ის არის პრორუსული ნარატივის და რუსულ სპეცსამსახურებთან მოთანამშრომლე ადამიანი! შესაბამისად, ვფიქრობ, რომ კობახიძეს უკეთებენ პლაცდარმს.

***– „ხალხის ძალის“ ლიდერად ვიხილავთ კობახიძეს?***

– არ გამოვრიცხავ, რომ ასე იყოს. ან იმის სჯერა ვინმეს, რომ ვიტალი ჯაფარიძე აფინანსებს მათ ტელევიზიას?! „ქართული ოცნების“ საერთო პარტიული ფულიდან დაიწყეს მისი დაფინანსება. ეს არის ღიად პრორუსული, ანტიდასავლური ძალა. ასეთ პოლიტიკურ ძალებს 5%-მდე რეიტინგი ჰქონდათ ხოლმე. ჯერ პატრიოტთა ალიანსი, მერე „ალტ ინფო“, რომელმაც ვერ გაუქაჩა. დახურეს „ალტ-ინფო“ და გააკეთეს „ალტ-ინფო“ ორი, რომელიც არის განაყოფი პრორუსული „ქართული ოცნების“. სულ ეს არის, შეეცდებიან, რომ ეს 5% დაიმატონ შემდგომ არჩევნებში. ყველაფერს დავარქვათ თავისი სახელი. ეს ორი ერთია. ჰედენ შოლდერსივით არის, ერთში ორი. ერთ პრორუსულში არის ორი პოლიტიკური განაყოფი. ზუსტად ჰედენ შოლდერსები არიან ეს ადამიანები!

***– ეს გადათამაშება მომდევნო არჩევნებისთვის სჭირდებათ და კოალიციურ მთავრობას შემოგვთავაზებენ სწორედ ასეთი ძალების დახმარებითო.***

– ამას ცდილობენ, მაგრამ არ გამოუვათ. „ოცნებამ“ ზუსტად იცის, რომ ვერ აიღებს იმ ხმების რაოდენობას, რაც მათ სჭირდებათ უმრავლესობისთვის. კვლევები ჩავატარეთ და 21%-ზეა ჩამოსული მათი რეიტინგი და ყოველდღიურად უკან-უკან მოდის. რა „ხალხის ძალა“, რა „ქართული ოცნება“, ეს არის ერთი რუსული ძალა.

# ბიძინა ივანიშვილი „კრედიტ სუისთან“ მიმდინარე დავაზე, სინგაპურის სასამართლოში გამოიკითხა

იურიდიული ფირმა „ემ ქეი დი“, რომელიც ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს იცავს, ივანიშვილსა და „კრედიტ სუისს“ შორის მიმდინარე დავაზე სინგაპურში გამართულ პროცესთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს.

იურიდიული ფირმის ცნობით, ივანიშვილის საქმის არსებითი განხილვები სინგაპურის საერთაშორისო კომერციულ სასამართლოში 5-23 სექტემბრის პერიოდში მიმდინარეობდა. როგორც ინფორმაციაშია აღნიშნული, ზეპირი მოსმენების ფარგლებში, მოხდა თავად მთავარი მოსარჩელის, ბიძინა ივანიშვილის გამოკითხვაც.

– როგორც საზოგადოებას მოეხსენება, ბატონ ივანიშვილსა და „კრედიტ სუისს“-ის ჯგუფს შორის მრავალი წელია მიმდინარეობს სამართლებრივი დავები სხვადასხვა იურისდიქციაში. უკანასკნელი თვეების განმავლობაში, შედარებით ფართოდ გაშუქებას დაექვემდებარა ბერმუდის კუნძულებზე მიმდინარე საქმე, რომელიც, ბერმუდას უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელეთა უპირობო გამარჯვებით დასრულდა. სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილების მიხედვით, „კრედიტ სუისს“-მა მასზე დაკისრებული თანხა, 607.35 მილიონი აშშ დოლარი, სადეპოზიტო ანგარიშზე განათავსა სხვა შვეიცარიულ ბანკში, ხოლო გამარჯვებულ მხარეს აღნიშნულ თანხაზე წვდომა გაუჩნდება მას შემდეგ, რაც დავა ყველა ინსტანციის სასამართლოში ამოიწურება. ამ ინფორმაციის გაჟღერების კვალდაკვალ, ჩვენ ვაცხადებდით, რომ საქმის განვითარების შესახებ საზოგადოებას კურსში ვამყოფებდით იმ მომეტებული საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, რომელიც საკითხის მიმართ არსებობს. ამ პრეს-რელიზის მიზანი სწორედ საზოგადოების ინფორმირებაა კიდევ ერთი სასამართლო დავის შესახებ, რომლის არსებითი განხილვები სინგაპურის საერთაშორისო კომერციულ სასამართლოში მიმდინარეობდა 5-23 სექტემბრის პერიოდში. ზეპირი მოსმენების ფარგლებში მოხდა თავად მთავარი მოსარჩელის, ბატონი ივანიშვილის გამოკითხვაც. სადავო საკითხის პრეცედენტული მნიშვნელობიდან გამომდინარე და იქიდან გამომდინარეც, რომ სადავო თანხა 1.2 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება (საიდანაც არსებობს გარკვეული გადაფარვები ბერმუდაზე მიკუთვნებულ თანხასთან, ხოლო წმინდად დასაკისრებელი თანხა, მოსარჩელის პოზიციით, 900 მილიონ აშშ დოლარს აღემატება), სასამართლოს მიმდინარეობა ფართოდ შუქდებოდა საერთაშორისო პრესით. აღნიშნულის დასტურად, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ სინგაპურში მიმდინარე პროცესი ჯამურად, დაახლოებით, 300-ჯერ გაჟღერდა სხვადასხვა მედია საშუალებაში, რომელზეც წვდომა 960 მილიონ მომხმარებელს ჰქონდა.



მათ შორის, სტატიები გამოაქვეყნეს ისეთმა გამოცემებმა, როგორიცაა „ბლუმბერგი“, „როიტერსი“, „ფაინენშელ ტაიმსი“ და „უოლ სტრიტ ჟურნალი“.

საყურადღებოა, რომ თემა არ გაშუქდა ბატონი ივანიშვილისადმი ჩასაფრებულ პოზიციაში მყოფი მედიის მიერ საქართველოში, რის მიზეზიც, ვფიქრობთ, ცხადია, თუკი გავეცნობით ამავე საკითხზე საერთაშორისო მედიის გამოხმაურებას, რომელიც ცალსახად პოზიტიური იყო მოსარჩელე მხარისთვის, ხოლო მოწინააღმდეგე მხარის („კრედიტ სუისს“-ის სინგაპურული სატრასტო კომპანია, რომელიც ერთ-ერთია იმ ორი ტრასტიდან, რომელიც ემსახურებოდა კლიენტს) პოზიციებს საკმაოდ მძიმე შეფასებები მოჰყვა: პროცესზე დადასტურდა, რომ „კრედიტ სუისს“-მა ნამდვილად ჩაიდინა ის დანაშაულებრივი ქმედებები (საუბარია ხელმოწერების გაყალბებაზე, თანხის არაავტორიზებულ გადარიცხვებზე და ა.შ.), რომლებზეც ყოფილ კლიენტს გააჩნია პრეტენზიები. ეს განწყობა განსაკუთრებით გამოიკვეთა იმ მკვეთრი კონტრასტის ფონზე, რომელიც იყო ბატონი ივანიშვილის დამაჯერებელ მოწმის ჩვენებასა და მოწინააღმდეგე მხარის მოწმეთა ჩვენებებს შორის. ჩვენ შეგნებულად აღარ შევალთ უფრო დეტალურ შეფასებაში და წინ არ გავუსწრებთ სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც 2023 წლამდე არ იქნება ხელმისაწვდომი. მიუხედავად ამისა, თუკი დავაკვირდებოდით სასამართლო პროცესს, იქმნება პოზიტიური გადაწყვეტილების ობიექტური მოლოდინი. კრიტიკული მედიის მხრიდან ამ საკითხზე დუმილი, ვფიქრობთ, სწორედ ამგვარ რეალობას – ბატონი ივანიშვილის მიერ წარმატებულად წარმართულ პროცესს მიეწერება. გვსურს ყურადღება გავამახვილოთ დავის მიმდინარეობისას გამოკვეთილ კიდევ რამდენიმე საგულისხმო გარემოებაზე, რაც საზოგადოებას პროცესის უკეთ, უფრო ნატურალურად აღქმის საშუალებას მისცემს. მათ შორის აღსანიშნავია, რომ პროცესის მიმდინარეობისას მოპასუხემ, მოსამართლის აშკარა მინიშნების საპასუხოდ, სცნო პასუხისმგებლობა ჩადენილი დარღვევების მნიშვნელოვან ნაწილზე. მეტიც, ბატონი ივანიშვილის მხრიდან ჩვენების მიცემისას, მან ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ბანკის ტრასტები მას 2022 წლის მარტიდან იმ თანხებსაც კი არ ურიცხავენ, რომელიც გადაურჩა დანაშაულებს. მოსამართლემ იქვე დაუსვა ბანკს შეკითხვა ამ საკითხზე, რის შედეგადაც ბანკი იძულებული გახდა მარტიდან გაჩერებული თანხების ნაწილი გადმოერიცხა კლიენტისთვის. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ მეორე ტრასტის მიერ ამავე პერიოდიდან, მარტის თვიდან გაჩერებული ძირითადი თანხები, რასაც ბანკი „აღმოსავლეთ ევროპაში განვითარებულ გეოპოლიტიკურ მოვლენებს“ მიაწერდა, კვლავაც არ არის გადმორიცხული. ამ საკითხზე სინგაპურის სასამართლო რეაგირებას ვერ მოახდენდა, რადგან ხსენებული მეორე ტრასტი სხვა იურისდიქციას ეკუთვნის. საგანგებოდ ხაზგასასმელია ისიც, რომ სინგაპურის ტრასტიდან გადმორიცხული თანხა მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს „კრედიტ სუისს“-ის ტრასტებში ჯამურად აკუმულირებული თანხებისა. თანხის უდიდესი ნაწილი, რომელიც მოქცეულია არა სინგაპურული, არამედ გერნსის კუნძულზე რეგისტრირებული ტრასტის მართვის ქვეშ, კვლავაც უსაფუძვლოდ არის შეყოვნებული „კრედიტ სუისს“-ის ტრასტის მიერ და ამ მხრივ არანაირი წინსვლა არ არის. ამდენად, ბანკის ხელწერა არ შეცვლილა, ის მხოლოდ იძულებული გახდა განეხორციელებინა გადმორიცხვა სინგაპურის მცირეაქტივიანი ტრასტიდან, რაც სასამართლოს მხრიდან აშკარა მითითების შედეგია, – ნათქვამია განცხადებაში.

აქვე აღნიშნულია, რომ „კრედიტ სუისს“-ის ჯგუფის იურიდიული სამსახურის უფროსი, რომელიც სხდომებს მთელი სამი კვირის განმავლობაში ესწრებოდა, „იმდენად შეწუხდა მოპასუხე მხარის სუსტი პოზიციით, რომ უშუალოდ სხდომების პარალელურად გაუკეთა მოსარჩელე მხარეს შეთავაზება მორიგების შესახებ“.

– მას არაერთი მცდელობა ჰქონდა მოსარჩელის წარმომადგენლებთან კომუნიკაციისა და ღიად აღნიშნავდა, რომ თავადაც აღშფოთებულია იმ ფაქტით, რომ ბანკმა საკითხი სასამართლომდე მიიტანა და შვეიცარიაშივე არ უზრუნველყო საკითხის მოგვარება, კლიენტის სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილების გზით. მეტიც, მან გამოთქვა მზაობა, ჩამოსულიყო საქართველოში და პირადად გაესაუბრა ბატონ ივანიშვილთან და ბოდიშიც კი მოეხადა ბანკის ქმედებებისთვის მთელი ამ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „რუსულ მითებს უკრაინელები ვაქარწყლებთ“

## უკრაინელი სამხედრო: „უკრაინის არმიაში რუსეთში გამოცხადებულ მობილიზაციას სიხარულით ხვდებიან“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს საინფორმაციო სივრცე შესაბამისად არ ასახავს უკრაინის ფრონტსა და ზოგადად რეგიონში მიმდინარე მოვლენებს.

ქვეყანაში აქტიურია მორიგი ანტიდასავლური ტალღა. მიდის მსჯელობა იმაზე, თუ რამდენი ადამიანი შეემატა ანტიდასავლურ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც მრავალმხრივი ხელშეწყობით მალე გადაიქცევა ანტიდასავლურ პოლიტიკურ პარტიად.

ეს მოვლენები აცდენილია რეგიონში არსებულ ზოგად ვითარებას. საქართველოს მომავალი, პირველ რიგში, დამოკიდებულია უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე.

ფრონტზე შექმნილ რეალობაზე უკრაინულ მედიას ესაუბრება უკრაინის შეიარაღებული ძალების 68-ე ბრიგადის განყოფილების მეთაური **პაველ ვიშებაბა.**

***— რამდენი ხანია, თვალს ვადევნებთ, თუ როგორ გაურბიან რუსი კაცები მობილიზაციას. ისინი მეზობელ სახელმწიფოებს აფარებენ თავს. რა კომენტარს გააკეთებთ ამაზე?***

— ეს არის ასწლეულების სირცხვილი.



„ჩვენი მიზანი რუსეთის ფრაგმენტაციაა“

ესაა უკრაინელების მიერ გაქარწყლებული მორიგი რუსული მითი. მანამდე გავაბათილეთ მითი „მსოფლიოში მეორე არმიის შესახებ“, ახლა ვაქარწყლებთ მითს „დიად რუსულ პატრიოტიზმზე“. გეხსომებათ, როგორ აფრიალებდნენ თავიანთ სამფეროვან ძონძს, როგორ ამაყობდნენ რუსეთით. როცა რუსეთმა დაუძახა მოვალეობის მოსახდელად, ისინი გაიქცნენ. ეს დამატებით დამაჯერებლობას მატებს ჩვენს შეიარაღებულ ძალებს.

***— გარკვეული რაოდენობის ხალხს რუსეთში მაინც შეკრებენ და ფრონტზე გადაისვრიან საზარბაზნე ხორცად. ამაზე რა რეაგირება ექნებათ ბრძოლის ველზე მყოფ ჩვენს მებრძოლებს?***

— მივლინებით ვიყავი ხარკოვის ოლქში. იქ ვესაუბრე მებრძოლებს, გმირებს, რომლებმაც ოლქი გაათავისუფლეს. ისინი ტაშს უკრავენ რუსეთში გამოცხადებულ მობილიზაციას. ხარკოვშჩინადან ისინი რუსეთის რეგულარულ არმიას დევნიდნენ. იქაური ველ-მინდვრები „ვანკების“ ნაწილებით გაივსო. ძალიან ბევრია დამწვარი რუსული ტექნიკა. ეს მებრძოლები გახარებული არიან, რომ მეტ „ვანკას“ გაუსწორდებიან, მეტ რუსულ ტექნიკას გაანადგურებენ. განწყობა ამაღლებულია.

***— გჯერათ, რომ ამ ხალხს შეუძლია მოიპოვოს თავისუფლება?***

— ამაზე არანაირი ილუზია არ არსებობს. რუსები ვერ გაილვიძებენ. მათ აქვთ აბსოლუტურად მონური ცნობიერება, რაშიც დავრწმუნდით ომის თვეების განმავლობაში, ასევე 8 წლის წინანდელი ომის დროს. მათ არ აქვთ ომის წინააღმდეგ ორგანიზებული პროტესტის მოწყობის უნარი.

ამასთან, მჯერა, რომ ეროვნული შეგნება გაიღვიძებს რუსეთის ფედერაციის გარკვეულ რეგიონებში. ჩვენი მიზანი რუსეთის ფრაგმენტაციაა. ახლანდელი სახით რუსეთი არ უნდა არსებობდეს. ამ სახით რუსეთი არის ქვეყანა-ტერორისტი, რომელსაც აქვს იმპერიული ამბიციები და ჰყავს მეტისმეტად დიდი არმია. რუსეთი უნდა დანაწევრდეს.

***— უკვე გათავისუფლებულ ოკუპირებულ ტერიტორიებზე როგორი განწყობა აქვთ მოქალაქეებს? თვითიდენტიფიკაციის, იდენტობის გრძნობა ყველას აქვს?***

— არსებობს მოსახლეობის ინერტული ნაწილი, რომლისთვისაც სულ ერთია, ვინ გააკონტროლებს ტერიტორიას – რუსეთი, უკრაინა, დაღესტანი თუ ვიღაც სხვა. უმრავლესობა ასეთი არ არის. ძალიან ბევრ ადამიანს სიხარულის ცრემლი მოსდიოდა. რუსების დროს ხალხი იმალებოდა, ახლა თავისუფლად დადიან ქუჩებში.

## გიგა ბოკერია: „ივანიშვილის რეჟიმის ანტიდასავლური, ანტიქართული კამპანია კიდევ უფრო მკაფიო გახდა“



„ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარის, გიგა ბოკერიას შეფასებით, განსაკუთრებულად საშიშია ყველა დღე, ვიდრე ბიძინა ივანიშვილის რეჟიმი არის ხელისუფლებაში.

ბოკერიამ პარტია „ქართული ოცნებიდან“ გასული დეპუტატების შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩის, კელი დეგნანის განცხადება შეაფასა და აღნიშნა, რომ ხელისუფლების მიერ არჩეული კურსი სახელმწიფოებრიობას, სუვერენიტეტს, თავისუფლებას ანგრევს და მარტო გვტოვებს იმ უზარმაზარი საფრთხის წინაშე, რასაც რუსეთი წარმოადგენს.

„პოს ტვ“-ზე, რომელიც ვიცით, რომ ივანიშვილის ტელევიზიაა, განცხადება გაკეთდა, რომ ანტიევროპულ, ანტიამერიკულ კურსს უჭერენ მხარს. ასევე, მისი გამოცალკევებული პოლიტიკური არარაობების, სუბარის და სხვების განცხადება, თურმე ნატო-ში გაწევრიანება არის სუვერენიტეტის შეზღუდვა. ანუ, გაერთიანება, რომელიც იცავს თავისი წევრი ქვეყნების თავისუფლებას, თურმე სუვერენიტეტის შეზღუდვაა. მაგ ლოგიკით, თავისუფალი სამყაროს მხრიდან საერთოდ მოლოდინიც კი, რომ თუ ჩემი წევრობა გსურს, უნდა იყო დემოკრატიული სახელმწიფო, ესეც თურმე სუვერენიტეტის შეზღუდვაა. ამიტომ, არ უნდა გვიკვირდეს ეს ამბავი. ეს ყველაფერი უკვე წლებია კატასტროფული მიმართულებით მიდის, უბრალოდ, ახლა ეს პროცესი დაჩქარდა. ამიტომაა განსაკუთრებულად საშიში ყველა დღე, სანამ ივანიშვილის რეჟიმი არის ხელისუფლებაში. ეს კურსი ჩვენ სახელმწიფოებრიობას, სუვერენიტეტს, თავისუფლებას ანგრევს და მარტო გვტოვებს იმ უზარმაზარი საფრთხის წინაშე, რასაც რუსეთი წარმოადგენს, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

ცნობისთვის, საქართველოში აშშ-ის ელჩის კელი დეგნანის განცხადებით, „ხელისუფლებიდან დამაბნეველი გზავნილი მოდის მათთან კავშირის შესახებ, რომლებიც საქართველოსა და აშშ-ის პარტნიორობას ძირს უთხრიან“.

## ლუგარის ლაბორატორია კომუნიკაციისთვის რუსულ ენას რატომ იყენებს?!

რუსული გავლენის გაძლიერების ახალი ფაქტი. ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტი, ლუგარის ლაბორატორია, სრულიად მოულოდნელად და პირველად, კომუნიკაციისთვის რუსული ენის გამოყენებას იწყებს. საჯარო წყაროებით დასტურდება, რომ ლუგარმა ქვეყანაში მოქმედ და სახელმწიფო პროგრამებში ჩართულ სხვა ლაბორატორიებს საქმიანი წერილები, გაიდლაინები და ბმულები უკვე რუსულადაც გადაუგზავნა.

მედიცინის ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ფაქტი ლუგარში კრემლის გავლენების ზრდას ადასტურებს, რაც დროში ცენტრიდან ამირან გამყრელიძის წასვლას ემთხვევა. არსებობს ინფორმაცია, რომ გამყრელიძისა და ხელისუფლების ლიდერების მაშინდელი დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი, სწორედ რუსული გავლენები იყო. თავად გამყრელიძე კონფლიქტზე არაფერს ამბობს, მაგრამ ადასტურებს – მიმოწერა რუსულ ენაზე ცენტრში არასდროს ყოფილა.

## აფხაზეთის საოკუპაციო ხაზზე საოკუპაციო რეჟიმმა ფარული სათვალთვალო კამერების დამონტაჟება დაიწყო

იმის მიუხედავად, რომ აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმმა სამხედრო გაწვევა დაიწყო, უკრაინის ომში წამსვლელთა რიცხვი მცირეა. არსებული ინფორმაციით, რეჟიმმა ჯერჯერობით ასეულიც ვერ შეკრიბა.

„მთავარ არხთან“ საუბარში ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები ამბობენ, რომ საოკუპაციო ხაზზე ფარული სათვალთვალო კამერების დამონტაჟება დაიწყეს სავარაუდოდ იმ მიზნით, რომ სამხედრო გაწვევისგან თავის ასარიდებლად, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე წვევამდელები არ გამოიქცნენ. მოსახლეობის ინფორმაციით, კამერებს იმ ადგილას ამონტაჟებენ, სადაც ფეხით გადასასვლელები იყო და მოსახლეობას პროდუქტი გადაჰქონდა.

ოკუპირებულ აფხაზეთში სამხედრო გაწვევა 3 ოქტომბერს დაიწყო.

## მდინარაძე: „კელი დეგნანის მესიჯბოქსი ოპოზიციის პათოსს ემთხვევა“



„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, მამუკა მდინარაძე აშშ-ის ელჩს კელი დეგნანს მოუწოდებს, დეოლიგარქიზაციის საკითხთან დაკავშირებით უფრო მკაფიო განცხადებები გააკეთოს.

ელჩმა დეგნანმა დეოლიგარქიზაციის კანონთან დაკავშირებით თქვა, რომ „პირდაპირ აღება და სხვისი პრაქტიკის გადმოტანა ადგილობრივ გარემოებებზე მორგების გარეშე, ვერ იმუშავებს“.

მდინარაძის თქმით, თუკი ამ განცხადებებზე განმარტებები არ იქნება, რჩება შთაბეჭდილება, რომ დეგნანის „მესიჯბოქსი ოპოზიციის პათოსს ემთხვევა“.

– ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი მეგობარი ქვეყნის წარმომადგენელს ამ ქვეყანაში გვინდა მოვუწოდოთ, რომ მკაფიო იყოს მისი განცხადებები, მაგალითად, დეოლიგარქიზაციის საკითხთან დაკავშირებით.

ხატია დეკანოიძე გამოვიდა და თქვა, რომ კანონი უნდა მოერგოს ბიძინა ივანიშვილს, დღეს კელი დეგნანი გამოდის და ამბობს, რომ ქართული სპეციფიკით უნდა იყოს ეს კანონი შედგენილი. თუკი აქ უფრო მკაფიოობა არ იქნება და თუკი მეტად დაზუსტება არ იქნება, ბევრ ადამიანს ამ ქვეყანაში და ქვეყნის გარეთაც კი დარჩება შთაბეჭდილება, რომ ოპოზიციის მესიჯბოქსი ემთხვევა ჩვენი პარტნიორი და მეგობარი ქვეყნის წარმომადგენლის, ელჩის, პათოსს.

იქიდან გამომდინარე, რომ ქართულ რეალობას და სპეციფიკას მოერგოს, ამავდროულად, თუ იმას გულისხმობს, რომ ეს მოერგოს კონკრეტულ ადამიანს, ვისაც უნდა, რომ მოერგოს, ანუ ბიძინა ივანიშვილს. ეს იმას ნიშნავს, რომ სამართლის პრინციპებს, დემოკრატიის პრინციპებს საერთოდ გვერდზე ვდებთ და რაღაც ავტორიტარულ ქვეყნებში, როგორც შეიძლება მოხდეს ან კიდევ უარეს შემთხვევაში, როგორც შეიძლება მოხდეს, კონკრეტულ ადამიანს შეიძლება პირდაპირ კანონი მოერგოს. ეს სამართლის პრინციპებს ეწინააღმდეგება და ამიტომ მეტი განმარტება და სიზუსტე არის საჭირო, რა იგულისხმება ამ განცხადების უკან, – თქვა მამუკა მდინარაძემ. დეოლიგარქიზაცია ოლიგარქის გარეშე – ასეთია „ოცნების“ ხელისუფლების მიდგომა ევროკომისიის ერთ-ერთ საკვანძო პუნქტზე. მმართველი ძალა ოლიგარქად თვლის ყველას, გარდა ივანიშვილისა. ბიუროზე დარეგისტრირდა კანონპროექტის უკრაინული ვერსია – „უკრაინული კანონი, რომელიც არავისზე არ იყო მორგებული, არც ერთ ქართველ პოლიტიკოსზე, ბუნებრივია, არ იყო მორგებული, ეს კანონი შემდეგ გაიგზავნა ვენეციის კომისიაში, მანაც მოიწონა, ჩვენ ვთარგმნეთ კანონი და შევთავაზეთ საბაზისო ვერსიად ეს ოპოზიციას, – აცხადებს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, რომელიც არც იმას გამორიცხავს, რომ თუ კონსენსუსი არ მიიღწევა, ეს კანონი საერთოდ არ მიიღონ.

## ბიძინა ივანიშვილი „კრედიტ სუისთან“ მიმდინარე დავაზე, სინგაპურის სასამართლოში გამოიკითხა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

წლების განმავლობაში. ბანკის წარმომადგენლის ამგვარი მოქმედება, ზოგადად, ჯდება ბანკის პოლიტიკაში, რადგან ბანკი ყოველთვის ცდილობს, ამგვარი პრობლემური საკითხები, რაც შეიძლება მოკლე დროში და უხმაუროდ დაასრულოს, კლიენტთან მოლაპარაკების გზით. ამ მხრივ, ბატონ ივანიშვილთან დავა გამონაკლისი აღმოჩნდა, რადგან ბანკს მანამდე არც ერთხელ მოლაპარაკების მზაობა არ გამოუმჟღავნებია.

ბატონი ივანიშვილის პასუხი მდგომარეობდა იმაში, რომ ბანკს ჯერ სამართლიანობა უნდა აღედგინა და მის მიერ მარტის თვიდან დაკავებული ის თანხა უნდა გადმოერიცხა, რომელიც არ არის სადავო და რომ ეს თანხა მოლაპარაკების ნაწილი ვერ იქნებოდა. ამდენად, ბატონი ივანიშვილი არ იყო მზად სამართლიანობის აღდგენამდე და ფაქტობრივი შანტაჟის პირობებში ეწარმოებინა მოლაპარაკება.

უცნაურია, რომ ბანკის მაღალი რანგის წარმომადგენლის რამდენიმედღიანი აქტიური მცდელობების შემდეგ, ბანკმა, შეიძლება ითქვას, მკვეთრად დაამუხრუჭა პროცესი, რაც გვაფიქრებინებს, რომ დამოკიდებულების ასეთი უეცარი ცვლილება ბანკის ტოპ მენეჯმენტის შიდა კონსულტაციის შედეგს წარმოადგენს. მეორე გარემოება, რომელიც პროცესში მონაწილე „ემ-ქეი-დი“-ს გუნდის დაკვირვების შედეგს წარმოადგენს, არის შემდეგი: როგორც ბერმუდაზე, ისე სინგაპურში მიმდინარე პროცესზე გამოიკვეთა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი დანაკარგები კლიენტის ანგარიშებზე დაფიქსირებულია 2008-2010 წლებში. მიუხედავად იმისა, რომ დარღვევებისა და დანაშაულის სიმრავლე და ხასიათი უპრეცედენტო იყო, ბანკმა აღნიშნული დარღვევები მხოლოდ 2015 წელს დააფიქსირა და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც კლიენტმა მის ანგარიშზე არსებული მსხვილი თანხების სხვა მისამართით გადარიცხვა განიზრახა.

სწორედ მაშინ აღმოჩნდა, რომ ანგარიშებზე თანხები იმაზე მკვეთრად მცირე იყო, ვიდრე ბანკის მიერ კლიენტისთვის მიწოდებულ მონაცემებში ჩანდა. ამის შემდეგ, ბანკმა დასწრებაზე მიმართა პროკურატურას თავისივე თანამშრომლის წინააღმდეგ, რათა ბატონი ივანიშვილის მოსალოდნელი საჩივარი და განცხადებები გადაეფარა. შედეგად, მილიარდიან და მრავალწლიან ზიანზე პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთი თანამშრომლისკენ მიიმართა, რომელსაც ბრალიც და მსჯავრიც დაედო. ერთი პირის მიმართ დაკისრებული პასუხისმგებლობის ფონზე, ჩვენი გაოცება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ შვეიცარიის ფინანსური მარეგულირებელი ორგანოს (FINMA) დასკვნის მიხედვით, ბანკის მენეჯმენტს ჯერ კიდევ 2010 წელს სცოდნია არსებული დარღვევების შესახებ, როდესაც ბანკის შიდა კონტროლის სისტემამ ასეულობით განგაშის სიგნალი (ალერტ) დააფიქსირა მოცემული დარღვევების შესახებ.

ბანკის მენეჯმენტმა ხსენებული საგანგაშო სიგნალები სრულად უგულებელყო და შექმნა კომფორტული სივრცე იმისთვის, რათა ბატონი ივანიშვილის მიმართ დანაშაული დამატებითი წლების განმავლობაში გაგრძელებულიყო. მეტიც, ბანკი არათუ უშვებდა დამნაშავე თანამშრომლის მიერ თავისი პოზიციის კვლავაც დაკავებას და დანაშაულის ჩადენას, არამედ დამატებით ბონუსებს უხდიდა ამავე თანამშრომელს. ობიექტური დამკვირვებელი თუკი მოუსმენდა სხდომის მიმდინარეობას და მოწმეთა ჩვენებებს, შეუძლებელია მას არ გასჩენოდა განცდა, რომ ბანკის მენეჯმენტმა, სულ მცირე, 2010 წლიდან მოყოლებული, შეგნებულად დაუშვა კლიენტის მიმართ დანაშაული და მისი ფინანსური მდგომარეობის მკვეთრად დაზიანება.

მართალია, სინგაპურში მიმდინარე პროცესის გაშუქებას ვერც ერთმა სექტორულმა (ფინანსებით, საბანკო სფეროთი და ეკონომიკით დაინტერესებულმა) მედია საშუალებამ თავი ვერ აარიდა ვერც საერთაშორისო დონეზე და ვერც შვეიცარიაში, მაგრამ საგულისხმოა ისიც, რომ ამ ფონზეც კი, შვეიცარიული მედია დღემდე თავს იკავებს ბატონი ივანიშვილის იმ პოზიციის გამოქვეყნებისგან, რომელზეც ივლისის თვეში ვსაუბრობდით: კლიენტი მიიჩნევდა და მიიჩნევს, რომ ბანკის მენეჯმენტი შეგნებულად აზიანებს არა მხოლოდ ბანკს, არამედ მთელი შვეიცარიული საბანკო სექტორის რეპუტაციას, რაც, თავის მხრივ, დარტყმის ქვეშ აყენებს შვეიცარიის სახელმწიფოსაც. სინგაპურში მიმდინარე პროცესი კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ბანკის მენეჯმენტი თვითდაზიანების რეჟიმში იმყოფება და მნიშვნელოვან დარტყმას აყენებს შვეიცარიის სახელმწიფოს იმიჯსაც, – ნათქვამია განცხადებაში.

# ბასილაშვილის დედამ ნელი დოროყაშვილი სიცრუეში ამხილა?



– იგივე დეპრესია დამეწყო, გიორგი ნარსიას რომ მიხსენებენ, ასე მემართება და რა ვქნა? ქორწილში ეგ რომ დავინახო, შეიძლება გადავხტე იქიდან და თავი მოვიკლა, – ეს სიტყვები ნიკოლოზ ბასილაშვილის დედის, ნატალია ნაჭყებიას განცხადებით, მას ყოფილმა რძალმა, ნელი დოროყაშვილმა ქორწილამდე მისწერა.

– ქორწინებამდე ორი წლით ადრე გავიცანი, რამდენადაც ვიცი, ინტერნეტით გაიცნეს ერთმანეთი. ნელი ჩემთვის, როგორც შვილი, ისე იყო. პირადი ამონაწერები მაქვს და ადვოკატებისთვის არ მიმიცია, ამის საჭიროება მას შემდეგ გახდა, რაც ნელიმ ჩვენება მისცა და ეს ტელევიზიით გაჟღერდა, ეს ჩანაწერები იმის დამადასტურებელია, რომ სიცრუე ისაუბრა.

პირველად ნელიმ თხოვნით მომმართა, რომ მას ნიკას მეჯვარე არ მოსწონდა, ყველა შეხედულების გაზიარება შემიძლია, ამასაც თანადგომით მივუდექი. ეს ბიჭი, ნიკას ბავშვობის მეგობარი იყო, ნელის მასთან არანაირი წინაპირობა არ ჰქონია, ჩანაწერებში ვეუბნები კიდეც, რომ ნიკას მეგობრებში ყველაზე წესიერი იყო, – განაცხადა ნაჭყებიამ.

მან პროცესზე ნელი დოროყაშვილის მიერ მიწერილი შეტყობინება წაიკითხა.

– გუშინ იგივე დეპრესია დამეწყო. გიორგი ნარსიას რომ მიხსენებენ, ასე მემართება და რა ვქნა? ქორწილში ეგ რომ დავინახო, შეიძლება გადავხტე იქიდან და თავი მოვიკლა, ან მთელი ქორწილი მოვკვდე ტირილით. ძალიან არ მინდა, ეს ჩვენი მეჯვარე იყოს. გეხვეწებით, რამე მოიფიქრეთ და უთხარით, სანამ დროა ამ ოჯახს, თორემ მერე თქვენი სირცხვილი იქნება. ვერ წარმოვიდგენ მაგას ქორწილში, თან მე ძალიან მემჩნევა სახეზე, ცუდად რომ ვარ და მთელი ქორწილი მოვკვდები ტირილით, ეგ თუ დარჩა მეჯვარედ. ნიკას ახლა არ ვეუბნები არაფერს, ვუთმენ, სანამ ჩამოვა. რომ ჩამოვა, დაელაპარაკეთ და ერთი მეჯვარე ჰყავდეს, – წერს დოროყაშვილი ნაჭყებიას.

როგორც ნაჭყებია აღნიშნავს, დოროყაშვილს ბასილაშვილის მეჯვარე გარეგნულად არ მოსწონდა. მისივე თქმით, ნიკოლოზს სთხოვა, ყველაფერი ისე გაეკეთებინა, როგორც ნელის გაუხარდებოდა და საკუთარ ქორწილში თავი ბედნიერად ეგრძნო.

# ნიკოლოზ ბასილაშვილი: „თავს დამნაშავედ არ ვთვლი“




– თავს დამნაშავედ არ ვთვლი, – ამის შესახებ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაში ბრალდებული ჩოგბურთელი, ნიკოლოზ ბასილაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოში ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს.

ბასილაშვილი საკუთარ სასამართლო პროცესზე დასასწრებად მივიდა.

– სანამ პროცესები არ დამთავრდება, მანამდე განცხადებას არ გავაკეთებ. როგორც კი დამთავრდება, ყველაფერზე აუცილებლად გავაკეთებ კომენტარს, – განაცხადა ბასილაშვილმა.

ცნობისთვის, საქართველოს პროკურატურამ ყოფილი მეუღლის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე ნიკოლოზ ბასილაშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარუდგინა, რაც გულისხმობს ოჯახში ძალადობას არასრულწლოვნის თანდასწრებით.

მოგვიანებით პროკურატურამ ბასილაშვილს ბრალდება დაუზუსტა და მას ძალადობის რამდენიმე ეპიზოდთან ერთად, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობასაც ედავებიან. პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 21 მაისს, თბილისში, ავჭალის დასახლებაში, ნიკოლოზ ბასილაშვილმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ყოფილი მეუღლის ნელი დოროყაშვილის მიმართ ფიზიკური ძალადობა განახორციელა. სამართალდამცველებმა ნიკოლოზ ბასილაშვილი 2020 წლის 22 მაისს დააკავეს. სასამართლომ ბასილაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით 100.000-ლარიანი გირაო შეუფარდა. ნიკოლოზ ბასილაშვილს ფიზიკური ძალადობის 4 და ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ ეპიზოდზე ედება ბრალი.

# ნევროლოგის მოთხოვნით მიხეილ სააკაშვილს თმის ნიმუში აუღეს და კუნთის ბიოფსია გაუკეთეს



ადვოკატის განცხადებით, ნევროლოგის მოთხოვნით მიხეილ სააკაშვილს თმის ნიმუში აუღეს და კუნთის ბიოფსია გაუკეთეს

საქართველოს მესამე პრეზიდენტის ადვოკატის, შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით, ნევროლოგის მოთხოვნით მიხეილ სააკაშვილს თმის ნიმუში აუღეს და კუნთის ბიოფსია გაუკეთეს. ადვოკატი არ აკონკრეტებს, საქართველოში თუ რომელიმე სხვა ქვეყანაში ჩატარდება კვლევა, თუმცა ამბობს, რომ კვლევის შედეგები რამდენიმე დღეში იქნება და შეიძლება შეიცვალოს მკურნალობის პროტოკოლი.

– ეს არის ნევროლოგის მოთხოვნა, მე ნიმუშის აღების ოქმი შევადგინე, გათვალისწინებული ქართული კანონმდებლობით. კვლევებს ატარებს, თუმცა რა კვლევებს ატარებს, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. არ ვიცი ექსპერტიზა საქართველოში ჩატარდება თუ არა, არ დაუზუსტებია. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლებისა და „ვივამედის“ ექიმისა და მედპერსონალის თანდასწრებით მოხდა ამ ნიმუშების აღება გუშინ და დღეს. პასუხები ძალიან მალე მომზადდება, როგორც თვითონ თქვეს, რამდენიმედღიანი პროცედურაა.

თმის ნიმუში აიღეს და დღეს აიღეს კუნთის ბიოფსია და ამიტომ დასჭირდა საოპერაციოში ჩაყვანა და საოპერაციო ოთახში მანიპულაციის ჩატარება. მედიკამენტებს არ იღებს, საკვებს არ იღებს, თუმცა შიმშილობა არ გამოუცხადებია, უბრალოდ, როგორც თქვა, გაირკვეს რა მჭირს, რა დიაგნოზი მაქვს საბოლოოდ. ამის შემდეგ შეიძლება მკურნალობის პროტოკოლი შეიცვალოს.

ეჭვი არის დიაგნოზების სისწორეზე, იმიტომ, რომ ფაქტია, ეს ყველაფერი, რაც აქვს, დაკავშირებულია ნევროლოგიასთან და დაკავშირებულია გასტროენტეროლოგიასთან. ამიტომ შეიძლება მკურნალობის რაღაც ახალი პროტოკოლი იქნას შემუშავებული, – განაცხადა ადვოკატმა.

# მეუღლეზე ძალადობის ბრალდებით „ნაციონალური მოძრაობის“ მარტვილის ორგანიზაციის თავმჯდომარე ზაალ გოროზია დააკავეს

სამართალდამცავებმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მარტვილის ორგანიზაციის თავმჯდომარე, მარტვილის საკრებულოს წევრი ზაალ გოროზია დააკავეს.

ის ცოლზე ძალადობის ბრალდებით არის დაკავებული.

შსს-ში ერთი პირის დაკავების ფაქტს ადასტურებენ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სსკ-ს 126 პრიმა მუხლით მიმდინარეობს, რაც ოჯახში ძალადობას გულისხმობს.

# პოლიციამ „ორი ნაბიჯის“ თანამშრომლებზე ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით ბრიტანეთის მოქალაქე დააკავა

საპატრულო პოლიციამ „ორ ნაბიჯში“ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ერთი პირი დააკავა. დაკავებული ბრიტანეთის მოქალაქეა.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლით მიმდინარეობს.

შეგახსენებთ, სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო, სადაც თბილისში, სუპერმარკეტ „ორი ნაბიჯის“ ერთ-ერთ ფილიალში ძალადობის ფაქტია ასახული. სუპერმარკეტის თანამშრომლებს უცხოელი მომხმარებელი ჯერ სიტყვიერად დაუპირისპირდა, რაც შემდეგ ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

# თსუ-ის ყოფილმა ბუღალტერმა უნივერსიტეტის ანგარიშიდან მასთან დაკავშირებული პირების ანგარიშებზე გადარიცხა და მიითვისა 165,000 ლარი



საქართველოს პროკურატურამ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით თანხების მითვისებისა და კრედიტის უკანონოდ მიღების ფაქტზე, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ბუღალტერი და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი პირი დააკავა.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

როგორც პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ თსუ-ის ყოფილმა ბუღალტერმა, ამ პოზიციაზე მუშაობის პერიოდში, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, უნივერსიტეტის ანგარიშიდან მასთან დაკავშირებული პირების საბანკო ანგარიშებზე გადარიცხა და მიითვისა დიდი ოდენობით – 165 000 ლარი.

– პროკურატურამ აღნიშნულ საქმეზე გამოძიება სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და უნივერსიტეტის შიდა აუდიტის მიმართვების საფუძველზე დაიწყო.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფმა პირმა „თიბისი ბანკი“ შეცდომაში შეიყვანა, თითქოს, უნივერსიტეტში სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობდა, რის შედეგადაც უკანონოდ მიიღო 10.5000 ლარის კრედიტი.

დაკავებულებს ბრალდება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით თანხის მითვისების, მითვისებაში დახმარების და კრედიტის უკანონოდ მიღების მუხლებით წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოს უკვე მიმართა, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# გვანცა ჯობავა გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

რომ ჩვენი არსებობა დავამტკიცოთ, რომ ჩვენს დამოუკიდებელ არსებობას პატივი სცეს ჩვენმა დაუნდობელმა მეზობელმა – რუსეთმა.

ბუნებრივია, პირობას ვდებ, რომ ვიქნები ყველას ვიცე-პრეზიდენტი ამ კონტინენტიდან იმ კონტინენტამდე და ჩვენი ასოციაციის თითოეული წევრისთვის თანაბარი ძალებით, თანაბარი ძალისხმევით, თანაბარი მონდომებით ვიშრომებ. წინ გამოწვევებით სავსე ორი წელია, რომელსაც ასოციაციის სრულიად ახალი პრეზიდენტის, ბრაზილიელი გამომცემლის კარინე პანზას გვერდით გავატარებ, აქვე ვულოცავ მსოფლიო საგამომცემლო ინდუსტრიას ახალ, არაჩვეულებრივ მესამე ქალ პრეზიდენტს, რომელიც ამ სტატუსს ოფიციალურად ასევე 1 იანვარს მიიღებს.

განსაკუთრებული მადლობა ასოციაციის მოქმედ პრეზიდენტს, არაბ გამომცემელ ბოდურ ალ კასიმის, რომელთან მეგობრობა და თანამშრომლობა ჩემი ცხოვრების უდიდესი საჩუქარია, მადლობა მას, რომ ჯერ კიდევ 2018 წელს მრავალს შორის შემამჩნია და წამახალისა, რომ წინ და წინ მევლო. მადლობა მსოფლიო ასოციაციის გენერალურ მდივან ხოსე ბორგინოს, რომელიც გაცნობის დღიდან ქართველი გამომცემლების უდიდეს მეგობრად და მხარდამჭერად იქცა და რომელიც თავისი საქმის უბადლო ოსტატია. არც კი ვიცი, რა იქნებოდა მის გარეშე.

მადლობა ასოციაციის სრულ, თავისი საქმის პროფესიონალებით დაკომპლექტებულ გუნდს ჟენევაში, რომელთან უფრო მჭიდროდ თანამშრომლობის სიამოვნება ჯერ კიდევ წინ მაქვს. და მადლობა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის პრეზიდენტ იურგენ ბოსს და წიგნის ბაზრობის მთელ გუნდს, რომლებმაც წლების წინ ჩვენი ქვეყანა აღმოაჩინეს და ეს აღმოჩენა სხვებსაც გაუზიარეს – სწორედ ეს გახდა ჩვენი სექტორის ყველანაირი წარმატების სათავე.

დასასრულ კი, მადლობა მამას, სადაც არ უნდა იყოს ახლა, იმისთვის, რომ მთელი ცხოვრება ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლას მიუძღვნა, რათა წლების შემდეგ მისი შვილები თავისუფალი მსოფლიოს თავისუფალი წევრები გამხდარიყვნენ. სწორედ დღეს მინდა ვუთხრა, რომ მას ეს გამოუვიდა!

ასე გრძელდება და თან იწყება ერთი ჩვეულებრივი გოგოს დიდი მოგზაურობა, რომელიც აკეთებდა საქმეს, რომელიც უყვარდა, აკეთებდა იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც ძალიან უყვარდა და აკეთებდა დიდი სიყვარულით. ვღელავ და იმედი მაქვს, რომ ყველაფერს შევძლებ!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# საირმის ქუჩაზე დაჭრის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

თბილისში, საირმის ქუჩაზე, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით ერთი პირი დააკავეს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1996 წელს დაბადებული გ.ჭ., ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 5 ოქტომბერს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სხეულზე დაზიანება მიაყენა 1996 წელს დაბადებულ ლ.ს.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაშავებული მამაკაცი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც მას შესაბამისი დახმარება გაეწია.

პოლიციამ, ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გ.ჭ. მომხდარიდან მალევე, ბრალდებულის სახით დააკავა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის 1-ელი და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# 26 წლის ქართველი ემიგრანტი პოლონეთში გარდაცვლილი იპოვეს




პოლონეთში ქართველი ემიგრანტი ბინაში გარდაცვლილი ნახეს. მომხდარის შესახებ გუშინ დილით გახდა ცნობილი. 26 წლის ჯანო სიჭინავა ქალაქ სლუპსკში სამუშაოდ იყო წასული. მას შემდეგ, რაც დილით სამსახურში არ მივიდა, მისი ძებნა დაიწყეს. ინფორმაცია გარდაცვლილის ოჯახს ადგილობრივმა ემიგრანტებმა მიაწოდეს. რა გახდა სიკვდილის მიზეზი, უცნობია. ცხედარი ექსპერტიზაზეა გადასვენებული. სიჭინავას ოჯახი ანაკლიაში ცხოვრობს, მათ ოფიციალური უწყებებიდან ჯერ არავინ დაკავშირებია. მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ოჯახის სარჩენად უცხოეთში წასული ახალგაზრდას გადმოსვენებისთვის ახლობლები ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვენ. ცნობილია, რომ სიჭინავა პოლონეთში სამუშაოდ 3 წლის წინ წავიდა.

# ლიზ ტრასი: „არ უნდა დავუთმოთ მათ, ვისაც სურს გარიგება უკრაინული მიწის სანაცვლოდ“



გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრის, ლიზ ტრასის განცხადებით, უკრაინა გაიმარჯვებს და უკრაინის ტერიტორიის დათმობას არანაირი სამშვიდობო შეთანხმება არ უნდა ითვალისწინებდეს.

— უკრაინელი ხალხი იბრძვის არა მხოლოდ მათი უსაფრთხოებისთვის, არამედ ყველა ჩვენგანის უსაფრთხოებისთვის. ეს არის ბრძოლა თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის მთელ მსოფლიოში. პუტინის მიერ უკრაინის ტერიტორიის უკანონო ანექსია მიმართულია დემოკრატიის დამხობისა და საერთაშორისო სამართლის დარღვევისკენ, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მისი თქმით, უკრაინას შეუძლია გამარჯვება და უნდა გაიმარჯვოს.

— ჩვენ არ უნდა დავუთმოთ მათ, ვისაც სურს გარიგება უკრაინული მიწის სანაცვლოდ. ჩვენ მხარს დავუჭერთ ჩვენს უკრაინელ მეგობრებს იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც საჭირო იქნება. უკრაინას შეუძლია გაიმარჯვოს, უკრაინამ უნდა გაიმარჯვოს და უკრაინა გაიმარჯვებს, — აღნიშნა ლიზ ტრასმა.

# ვლადიმერ პუტინი: „ჩვენ პატივს ვცემთ უკრაინელ ერს“

ჩვენ პატივს ვცემთ უკრაინელ ერს — ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა.

მისი თქმით, რუსეთი პატივისცემით ეპყრობა უკრაინელ ერს, ენას და არასდროს დაუშვია ის, „რასაც კიევი აკეთებს რუსული ენის მიმართ“.

— ჩვენ ყოველთვის, დღევანდელი დღეების ტრაგედიის მიუხედავად, უდიდესი პატივისცემით ვეპყრობით უკრაინელ ერს და უკრაინულ კულტურას, უკრაინულ ენას და ლიტერატურას და ასე შემდეგ. ჩვენ არასდროს დაგვიშვია ის, რასაც უკრაინაში აკეთებენ რუსული კულტურისა და რუსული ენის მიმართ. ჩვენი მხრიდან ჩვენ სხვა გზით წავალთ: პატივისცემით მოვეპყრობით ყველაფერ უკრაინულს, — თქვა პუტინმა.

# რეჯეფ თაიფ ერდოღანი და ნიკოლ ფაშინიანი პრაღაში შეხვედრას გამართავენ



თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანსა და სომხეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანს შორის პრაღაში, 6 ოქტომბერს პირველი პირისპირ შეხვედრა იგეგმება, — ინფორმაციას სააგენტო „რია ნოვისტი“ თურქულ მედიაზე დაყრდნობით ავრცელებს.

6 ოქტომბერს, თურქეთის დროით 19:00 საათზე პრეზიდენტი ერდოღანი პრაღაში ორმხრივ შეხვედრას გამართავს სომხეთის პრემიერ-მინისტრ ფაშინიანთან, — წერს გამოცემა.

ეს თურქეთისა და სომხეთის ლიდერებს შორის პირველი პირისპირ შეხვედრა იქნება ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესის განახლების შემდეგ.

# რუსმა ოფიცრებმა მიკოლაივის ოლქის ქალაქი სნიგირიოვკა დატოვეს

— დაუდასტურებელი ინფორმაციით, რუსმა ოფიცრებმა მიკოლაივის ოლქის ქალაქი სნიგირიოვკა დატოვეს, — ამის შესახებ ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ვიტალი კიმმა განაცხადა.

ამასთან, მისი თქმით, მოწინააღმდეგის ჯარი კვლავ რჩება სნიგირიოვკაში.

— ამას ყოველდღე ველოდებით. დაუდასტურებელი ინფორმაციით, ოფიცრებმა დატოვეს სნიგირიოვკა, მაგრამ ჯარები ისევ იქ არიან, — განაცხადა კიმმა.

შეგახსენებთ, რომ რუსებმა სნიგირიოვკა მარტში დაიკავეს. აღსანიშნავია, რომ ეს ქალაქი სარკინიგზო კვანძია.

# გუბერნატორი: „ლუგანსკის ოლქის დეოკუპაცია დაიწყო“




ლუგანსკის ოლქის დეოკუპაცია დაიწყო, — ამის შესახებ ლუგანსკის საოლქო — სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სერჰი გაიდაი „ტელეგრამში“ იუწყება.

— რამდენიმე დასახლებული პუნქტი უკვე გათავისუფლდა რუსული არმიისგან, რუსი ოკუპანტებისგან, — განაცხადა გაიდაიმ, თუმცა მან გათავისუფლებული დასახლებები არ დაასახელა.

გაიდაის განცხადებით, ოკუპანტებს ესმით, რომ მათ ანადგურებენ, ამიტომ მაქსიმალურად ცდილობენ ყველა გზის და შენობის დანაღმვას.

ამასთან, მან მოქალაქეებს მოუწოდა, ოფიციალური ინფორმაციის მიღებამდე გათავისუფლებულ ტერიტორიებზე არ დაბრუნდნენ, რადგან აუცილებელია დანაღმული ტერიტორიების გაწმენდა.

— ჩვენ გეტყვით, როდის შეგიძლიათ დაბრუნდეთ და სად დაბრუნდეთ, — აღნიშნა გაიდაიმ.

# ირანში 5.7 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა

აშშ-ის გეოლოგიური კვლევითი ცენტრის ინფორმაციით, ირანში 5.7 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. სტიქიური უბედურება ირანის დასავლეთ ნაწილში, ქალაქ ხოვისთან ახლოს დაფიქსირდა.

ამ მომენტისთვის არსებული ცნობების თანახმად, სტიქიური უბედურების შედეგად ირანში სულ მცირე 276 ადამიანი დაშავდა, მათგან 70-ზე მეტი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

# ანჯელინა ჯოლიმ ბრედ პიტის უჩივლა





მსახიობმა ანჯელინა ჯოლიმ ყოფილი ქმრის, ბრედ პიტის წინააღმდეგ შემხვედრი სარჩელი შეიტანა, სადაც 2016 წელს კერძო თვითმფრინავით მგზავრობისას სავარაუდო შეურაცხმყოფელი ქცევის ახალი დეტალები გაამჟღავნა.

ფრანგული ღვინის ქარხნის გამო მიმდინარე სამართლებრივი დავის ფარგლებში, რომელსაც ისინი ერთ დროს ფლობდნენ, ვარსკვლავმა შემხვედრი სარჩელი შეიტანა.

ჯოლის ადვოკატებმა განაცხადეს, რომ მოლაპარაკებები ბიზნესში მისი წილის გაყიდვის შესახებ ჩაიშალა მას შემდეგ, რაც პიტმა ყოფილ მეუღლეს მოსთხოვა, ხელი მოეწერა გაუთქმელობის შესახებ შეთანხმებისთვის, რომელიც მას აუკრძალავდა სასამართლოს გარეთ ესაუბრა ბრედ პიტის მხრიდან მისი და მათი შვილების მიმართ ფიზიკური და ემოციური შეურაცხყოფის შესახებ.

სარჩელში საუბარი ეხება მათ შორის კერძო თვითმფრინავში 2016 წელს მომხდარ დაპირისპირებაზე.

— პიტი ერთ-ერთ ბავშვს ახრჩობდა, მეორეს სახეში გაარტყა. ჯოლის თავში ხელი სტაცა და შეანჯღრია, — ნათქვამია დოკუმენტებში. სარჩელში ასევე აღნიშნულია, რომ „პიტმა ჯოლის ლუდი დაასხა, ბავშვებს კი — ლუდი და წითელი ღვინო.

## კალეიდოსკოპი

# უიშვიათესი ავსტრალიური მონეტა აუქციონზე გაიყიდა




უიშვიათესი ავსტრალიური მონეტა პენი, აუქციონზე 59 ათას ავსტრალიურ დოლარად გაიყიდა.

მონეტა 1929 წელს დიდი დეპრესიის დროს შეცდომით იქნა დაბეჭდილი. იმ წელს ავსტრალიის ხელისუფლებას პენის დაბეჭდვა არ შეუკვეთავს, ვინაიდან დეფოლტმა და ეკონომიკურმა ვარდნამ ფულზე მოთხოვნა შეამცირა. საკოლექციო მონეტა შესანიშნავადაა შემონახული და მასზე მეფე გეორგ V-ის გვირგვინია გამოსახული ბრილიანტის და ექვსი მარგალიტის თვლით.

აღნიშნული მონეტა, რომელიც 1930 წლითაა დათარიღებული, ონლაინ-აუქციონზე 59,4 ათას ავსტრალიურ დოლარად გაიყიდა. ის დასავლეთ ავსტრალიელმა შეიძინა, რომელიც აპირებს თავის შვილიშვილებს გადასცეს.

აუქციონის სახლის დირექტორის ლი ჰეიმსის თქმით, ეს პენი ყველაზე მცირეტირაჟიანი ავსტრალიური მონეტაა, რომელიც ახალ ფულად სისტემაზე გადასვლამდეა გამოშვებული.

# გაქცეული პატიმარი მის დაბადების დღეს დააკავეს

აშშ-ში 31 წლის პატიმარი ფორენზ მერფი ციხიდან გაქცევის შემდეგ იმ დროს დააპატიმრეს, როდესაც საკუთარ დაბადების დღეს ზეიმობდა.

8 აგვისტოს მერფი კონექტიკუტის შტატის გამოსასწორებელი ცენტრიდან გაიქცა, სადაც ოთხწლიან სასჯელს იხდიდა ძარცვისთვის. მისი დაჭერა თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა გაქცეული პატიმრის დაჭერა მხოლოდ მას შემდეგ მოახერხეს, როდესაც ინფორმაცია მიიღეს იმის თაობაზე, რომ ის საკუთარ დაბადების დღეს ნათესავთან ჯორჯიის შტატში აღნიშნავდა.

მერფი 1 ოქტომბერს დღისით დააპატიმრეს და ციხეში დააბრუნეს. სავარაუდოდ, მას დამატებით ბრალდებას წაუყენებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სპორტი

# კვარაცხელიამ ჩემპიონთა ლიგაში გოლების ათვლა დაიწყო

### აიაქსი-ნაპოლი 1:6

**1:0 კუდუსი (9), 1:1 რასპადორი (18), 1:2 დი ლორენცო (33), 1:3 ზელინსკი (45), 1:4 რასპადორი (48), 1:5 კვარაცხელია (63), 1:6 სიმეონე (81)**

16 წლის, 10 თვისა და 12 დღის შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში ქართული გოლი გავიდა. დიდად ატალახებული არც მანამდე გვქონდა, მაგრამ ხანგრძლივი გვალვა იდგა.

ეს კი ხვიჩა კვარაცხელიამ გააკეთა, როდესაც ნაპოლიმ ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურში ამსტერდამში აიაქსი 6:1 გაანადგურა. კვარაცხელიამ მეხუთე გოლი გაიტანა, ხოლო რასპადორის პირველი გოლისას უპასა.

კვარაცხელიამ 64-ე წუთამდე ითამაშა — გაიტანა და გავიდა. შეცვლა თავად მოითხოვა, რადგან გოლამდე რამდენიმე წუთის წინ დუშან ტადიჩი ძალიან ეუხეშა. ტრავმა სერიოზული არაა და ხვიჩა მომავალი მატჩისთვის ემზადება.

63-ე წუთზე ჯაკომო რასპადორისთან მაგარი კომბინაცია გაითამაშა, მცველსაც ძალისმიერად აჯობა და რემო პასვეერთან პირისპირ დარჩენილმა შეაგდო. გოლამდე საგოლე პასიც იყო. ნაპოლიმ 33-ე წუთზე კუთხური გაითამაშა ბურთი ხვიჩას მიაწოდეს, რომელმაც საჯარიმოში ჩააწოდა და ჯოვანი დი ლორენცომ თავით შეაგდო.

მთლიანობაში ნაპოლიმ მაგრად დაჩაგრა მეტოქე. ასეთი უსუსური აიაქსი, ალბათ, ისტორიას არ ახსოვს. საერთოდაც, ევროტურნირებზე ყველაზე მეტი გოლი სწორედ ნაპოლისთან გაუშვა და ყველაზე დიდი ანგარიშითაც დამარცხდა.

ჩემპიონთა ლიგაზე ნეაპოლიტანურ გუნდს 3 თამაშში 9 ქულა აქვს, სამივე მატჩი ფანტასტიკური ფეხბურთით მოიგო: აიაქსთან 6:1, რეინჯერსთან 3:0, ლივერპულთან 4:1. ლუჩანო სპალეტის გუნდი 9 ქულით ლიდერია და ფლეი ოფის საგზურთან ძალიან ახლოსაა. მომდევნო ტურში, 12 ოქტომბერს, სპალეტის გუნდი აიაქსს უკვე შინ დაუხვდება. მანამდე კი სერია ა-ში ლუკა ლოჩოშვილის კრემონეზეს ესტუმრება.

სპალეტიმ აიაქსთან მატჩის შემდეგ ისაუბრა და კომენტარი ხვიჩა კვარაცხელიაზეც გააკეთა.

**ლუჩანო სპალეტი:**

— გამარჯვება ინდივიდუალური თვისებებისა და თამაშის ორგანიზაციის დამსახურებაა. ცხადია, გუნდური მუშაობის გარეშე შედეგები არ მიიღწევა. ამ გუნდში გვაქვს მნიშვნელოვანი ინდივიდუალური ხარისხი, მაგრამ გუნდურობა და ერთმანეთისთვის ხელმისაწვდომობა არ უნდა დაიკარგოს. მაგალითად, ლოსანომ და კვარაცხელიამ დიდი სამუშაო შეასრულეს.

კვარაცხელია კარგად მოიქცა, როცა ორი ეპიზოდისთვის ბოდიში მოიხადა. თანაგუნდელებს პასი არ მისცა, როდესაც გატანა შეეძლოთ. ის ძლიერია და შეუძლია გააკეთოს, რაც უნდა? ასე არ არის, ასე არ არის... ასე მექანიზმი არ მუშაობს. თუ შენ დაარტყამ კარში და თავისუფალ თანაგუნდელს პასს არ მისცემ, სხვა ეპიზოდში უკვე ის მოიქცევა ასე და იტყვის, რომ ახლა მე არ მოგეცი პასი და დავარტყი. ასე ყველაფერი რთულდება. თქვენ, ჟურნალისტები, კვარაცხელიას გუნდური თამაშისგან აშორებთ, მე — არა. თქვენ, როცა ამბობთ, ის არის, ის არის... თუმცა, კარგად მოიქცა, რომ ბოდიში მოიხადა და თქვა, რომ პასის გაკეთება შეეძლო, ყველაფერი ასე მუშაობს. გოლები ყველამ გაიტანა, არა მხოლოდ, მაგალითად, რასპადორიმ, რადგან მას ოლივერამ მისცა მაგარი პასი. გარდა ამისა, ნამდვილი აღიარება გუნდური შედეგებით მოდის და არა ინდივიდუალურით.

სადებიუტო გოლზე კომენტარი თავად **კვარაცხელიამაც** გააკეთა და აღნიშნა, რომ ოცნება აუხდა.

— ოცნებები ხდება, რადგან ჩემპიონთა ლიგაზე ვთამაშობ და გოლი გავიტანე. ძალიან ბედნიერი ვარ, მაგრამ მთავარი გუნდის გამარჯვება იყო. დი ლორენცო? ის შესანიშნავი ადამიანი, კაპიტანი და ფეხბურთელია, მატჩის საუკეთესო მოთამაშის ჯილდოც დამსახურებულად მიიღო.

აიაქსმა კარგად ვერ ითამაშა, მაგრამ ძალიან კარგი გუნდია, რომელსაც შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავს. წინ უნდა იარონ და მომავალში წარმატებებს ვუსურვებ.

გადავხედოთ, როგორ შეაფასა კვარაცხელიას თამაში იტალიურმა მედიამ:

**გაძეტა დელო სპორტი:**

— ბრწყინვალე იყო ორი გოლის ავტორი რასპადორი და შეუჩერებელი კვარაცხელია, რომელიც იმის მიხედვით, თუ რა დღეში აგდებს მოწინააღმდეგის დაცვას, სტეფ კარის შეგვიძლია შევადაროთ.

**კორიერე დელო სპორტი:**

— გუნდს ყოველთვის ეხმარება, აქტიურობდა, კაპიტანს საგოლე პასი გაუკეთა, ტადიჩი და სხვა მეტოქეები ჯარიმებით ავიწროებდნენ. ის კი იტანჯება, ბრაზდება და ჩემპიონთა ლიგაში პირველ გოლი, ფაქტობრივად, ცალი ფეხით გააქვს, შემდეგ კი ცვლილებას ითხოვს... გმირივით...

**ევროსპორტი:**

— მშვიდად დაიწყო, მერე როცა მეტოქეები უხეშობას იწყებენ, მთელ თავის პოტენციალს აფრქვევს. რასპადორისთან კომბინაციით ანგარიში 5:1 გახადა, როცა მთელი დაცვა უსაქმოდ დატოვა. საგოლე პასიც უნაკლო იყო.

**ილ ნაპოლისტა:**

— კვარას თამაში მისთვის ჩვეული იყო. ერთადერთი ნაკლი 31-ე წუთზე ჰქონდა, როდესაც რასპადორის პასი არ გაუკეთა, მაგრამ სწორედ ამ მომენტმა გამოიწვია მასში ბრაზი და ეს ეპიზოდი უნდა ვაპატიოთ. ჩვენ მისი თამაშისგან ორ მომენტს გამოვარჩევთ: პირველი, როცა ტადიჩს დაუძახა და აჩვენებდა, როგორ დააზიანა სერბმა მისი თანაგუნდელი, თითქოს ეუბნება, მოდი, შეხედე, იდიოტო, რა გააკეთე! მეორე, როდესაც სათადარიგო სკამზე იყო და ტადიჩმა ელმასს ჩაარტყა, კვარა ფეხზე წამოდგა და ეპიზოდს დემონივით აპროტესტებდა. როგორ შეიძლება ასეთი ადამიანი არ გიყვარდეს?

კვარაცხელიას თამაშს ჩემპიონთა ლიგის სოციალური ქსელის გვერდი ასე გამოეხმაურა:

— კვარადონა (საქართველოს დროშით).

ნაპოლის სოციალურ ქსელში კიდევ უფრო ამაღელვებელი მესიჯია:

— ვან გოგი? არა, კვარავაჯო.

### ლივერპული-რეინჯერსი 2:0

**1:0 ალექსანდერ-არნოლდი (7), 2:0 სალაჰი (53)**

ამავე ჯგუფში ლივერპულმა ბრიტანულ დერბიში რეინჯერსს უმასპინძლა და 2:0 დაამარცხა.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# ფავორიტებმა მოგებით დაიწყეს



საქართველოში მიმდინარე 2022 წლის 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი ფავორიტების გამარჯვებებით დაიწყო. საქართველომ, ესპანეთმა და პორტუგალიამ მეოთხედფინალურ ეტაპზე დიდი სხვაობებით გაიმარჯვეს. თასის ნახევარფინალშია ბელგიაც, სადაც უმცროს ბორჯღალოსნებს შეხვდება.

მეოთხედფინალში ბელგიამ ნიდერლანდები 23:13 დაამარცხა. ეს იყო ყველაზე თანაბარი შეხვედრა ევროპის ჩემპიონატის პირველ სათამაშო დღეს. მანამდე პორტუგალიამ გერმანიას 52:3, ხოლო ესპანეთმა რუმინეთს 102:0 სძლია.

ევროპის სამგზის ჩემპიონმა საქართველომ ტიტულის დაცვა რუსთავში, ჩეხეთთან მატჩით დაიწყო. ამ ბიჭების უმრავლესობას საერთაშორისო თამაშების გამოცდილება თითქმის არ აქვთ. საწყისი ნერვიულობის შემდეგ ხარვეზები გამოსწორდა და ეს ანგარიშზეც აისახა.

პირველი ლელო მე-7 წუთზე ტატო ბურთიკაშვილმა გაიტანა. ბურთი მარცხენა ფრთაზე ჩათამაშდა, სისწრაფეში მიიღო და ვერავინ შეაჩერა. მე-13 წუთზე ქართველმა მორაგბეებმა 5-მეტრიანი დერეფნიდან მოლი ააგორეს და შოთა ხელაძემ მეორე ლელო მიითვალა. მე-19 წუთზე ხელდახელ შეტევას თითქოს ტემპი აკლდა, თუმცა კახა შეყილაძემ მაინც იპოვა სივრცე, მასზე ბოჭვაც გაცუდდა და ანგარიში 19:0 გახდა.

24-ე წუთზე ლუკა კეშელავა ფინტებით დაუძვრა რამდენიმე მცველს და ოფლოუდით ბუთიკაშვილს დუბლი შეასრულებინა. შემდეგ ლუკა ხორბალაძე კონტრშეტევაზე დაიძრა, გზად ორი მცველი ჩამოიცილა და 90-მეტრიანი ლელო გაიტანა. ტაიმის ბოლოს ხელდახელ შეტევა კვლავ ჩვენი 22-ის მისადგომებიდან დავიწყეთ, მარცხენა ფრთაზე ბუთიკაშვილი გაიქცა და 50-მეტრიანი რეიდი მესამე ლელოთი დაასრულა. ლუკა ცირეკიძემ სამი გარდასახა და 36:0.

მეორე ტაიმის დასაწყისში კარის წინ დანიშნული შერკინებიდან ბურთი გიორგი ხაინდრავაზე გავიდა და მისი გამჩერებელი აღარავინ იყო; 42-ე წუთზე ჯაბა ოდიშარიამ კარის წინ გაჭრა ხაზი და 5 წუთის ინტერვალით ხაინდრავას მეორე ლელო გაატანინა; ერთ წუთში გიორგი გერგედავამ გაჭრა ხაზი და ამჯერად ლელო თამაზ ჭამიაშვილმა მიითვალა; მეორე ტაიმის შუაში სწრაფი ხელდახელ შეტევა მარჯვენა ფრთაზე ზურა ნინიძის ლელოთი დასრულდა; მე-60 წუთზე ბურთი ნინიძემდე კიდევ ერთხელ ჩათამაშდა და მანაც მეორე ლელო გაიტანა; შეხვედრის მიწურულს ზურა ხორბალაძემ თავისი მეორე, ხოლო გუნდის მე-12 ლელო გაიტანა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 76:0

# კვარაცხელიამ ჩემპიონთა ლიგაში გოლების ათვლა დაიწყო

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ტრენტ ალექსანდერ-არნოლდმა და მოჰამედ სალაჰმა თითო ტაიმში თითოჯერ გაიტანეს. საერთოდაც ლივერპულმა პრობლემების გარეშე მოიგო და იურგენ კლოპის გუნდი 6 ქულით მეორე ადგილზეა, რეინჯერსმა კი, შანსი უკვე დაკარგა, რადგან უქულოდ არის, გოლიც არ გაუტანია.

## ბ ჯგუფი

**ბრიუგე-ატლეტიკო 2:0**

**1:0 სოვა (36), 2:0 ჟუტგლა (62)**

ამ ჯგუფში საოცრებებს ჩადის მოკრძალებული ბელგიური ბრიუგე, რომელმაც პირველ ტურში ლევერკუზენს მოუგო, მერე სტუმრად პორტუ გაანადგურა, ხოლო ახლა ჩაროზად მადრიდის ატლეტიკო დააყოლა.

სოცამ და ჟუტგლამ თითო ტაიმში თითო გოლი შეაგდეს და ბელგიურ კლუბს სამ ტურში 9 ქულა აქვს. თანაც გოლიც არ გაუშვია. რაც ყველაზე საინტერესოა, უკვე 6 ქულით უსწრებს მდევრებს, რადგან დანარჩენ სამივე გუნდს 3-3 ქულა აქვთ.

**პორტუ-ლევერკუზენი 2:0**

**1:0 ზაიდუ (69), 2:0 გალენო (87)**

პორტუმ შინ ლევერკუზენი 2:0 კი დაამარცხა, მაგრამ არავინ იცის, შესვენებამდე პატრიკ შიკს პენალტი რომ გაეტანა, მოვლენები როგორ განვითარდებოდა.

ასეა თუ ისე, პორტუმ მოიგო და ბრძოლაში დარჩა.

## ც ჯგუფი

**ბაიერნი-პლზენი 5:0**

**1:0 სანე (7), 2:0 გნაბრი (13), 3:0 მანე (21), 4:0 სანე (50), 5:0 ჩუპო-მოტინგი (59)**

ამ ჯგუფში ბაიერნი შეუჩერებელია. გერმანელთა მსხვერპლი ამჯერად ჩეხური პლზენი გახდა.



20 წუთში საქმე მოთავებული იყო – სანემ, მანემ და გნაბრიმ სოლიდური უპირატესობა დაუბევეს გუნდს და ამის შემდეგ ბავარიელებს საქმის ბოლომდე მიყვანა აღარ გასჭირვებიათ.

ბაიერნმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე 31-ე წაუგებელი მატჩი ჩაატარა, რაც ტურნირის ახალი რეკორდია. ამასთან, მიუნხენურმა კლუბმა მოიგო ჯგუფური ეტაპის ზედიზედ 10 მატჩი, რაც ტურნირის ისტორიაში საუკეთესო სერიაა.

**ინტერი-ბარსელონა 1:0**

**1:0 ჩალჰანოღლუ (45)**

ინტერი წელს არც ჩემპიონთა ლიგაში ბრწყინავს, არც შინაურ ჩემპიონატში, მაგრამ ძალები გამონახა და ლა ლიგაში შთამბეჭდავად მოთამაშე ბარსელონა დაამარცხა. მატჩის ბედი ჰაკან ჩალჰანოღლუს გოლმა გადაწყვიტა და ჯგუფში სიტუაცია დაიძაბა.

იტალიურ გუნდს 6 ქულა აქვს, ხოლო ჩავის გუნდს მხოლოდ 3 და დარჩენილ ტურებში მაქსიმალურად ყურადღებით ყოფნა მოუწევს, თორემ ვინ იცის, ბარსა ზედიზედ მეორედ ჯგუფში ჩარჩეს. ლიდერი ბაიერნია, აუტსაიდერი პლზენი. წესით, მეორეადგილოსნის ბედი ინტერსა და ბარსელონას შორის უნდა გაირკვეს.

## დ ჯგუფი

**მარსელი-სპორტინგი 4:1**

**0:1 ტრინკაო (1), 1:1 სანჩესი (13), 2:1 ჰარიტი (16), 3:1 ბალერდი (28), 4:1 მბემბა (84)**

ძალიან საინტერესო მატჩის მოლოდინში ვიყავით და ასეთი მხოლოდ საწყისი 25 წუთი გამოდგა. ანგარიში პორტუგალიელებმა პირველივე წუთზე გახსნეს, მაგრამ 15 წუთში წინ უკვე მარსელი იყო.

ამას თან დაერთო სპორტინგის მეკარის ადანის გაძევება, რასაც გოლი მოჰყვა და მატჩის ბედიც გადაწყდა...

**აინტრახტი-ტოტენჰემი 0:0**

უგოლოდ დასრულდა აინტრახტისა და ტოტენჰემის მატჩი. შედეგად, აქ ყველა გუნდს რეალური შანსი აქვს: სპორტინგი 6 ქულით ლიდერია, მარსელი 3 ქულით აუტსაიდერი, ხოლო გერმანული და ინგლისური კლუბების აქტივში 4-4 ქულაა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ნიკა ამაშუკელი მსოფლიოს გაუშინაურდა

ნიკა ამაშუკელს დახუნძლული ნოემბერი ელის. საქართველოს საუკეთესო მსაჯი ნოემბერში ტიერ 1 გუნდების სამ ტესტ-მატჩს და მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპის ერთ შეხვედრას იმსაჯებს.

ნოემბრის ტესტები 29 ოქტომბერს ტოკიოში, იაპონიისა და „ოლ ბლექსის“ შეხვედრით იხსნება და თამაშს 28 წლის ქართველი რეფერი განსჯის. მომდევნო კვირაში ის ევროპაში დაბრუნდება და 5 ნოემბერს დუბლინში, ირლანდიისა და სამხრეთ აფრიკის მატჩის მთავარი მსაჯი იქნება. ეს შეხვედრა 2022 წლის ნოემბრის ტესტებ-




ზე ცენტრალურად ითვლება და სასიამოვნოა მისი გაძლოლა ქართველ რეფერის რომ ანდეს.

ამის შემდეგ ოფიციალური თამაშის დრო დგება. ნოემბერში, დუბაიში, 2023 წლის მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო ეტაპის დასკვნითი ტურნირი ტარდება, რომელმაც ბოლო მონაწილესთან ერთად, საფრანგეთში ბორჯღალოსანთა მეოთხე მეტოქეც უნდა გამოავლინოს. 12 ნოემბერს პორტუგალია კენიას ეთამაშება და მთავარი მსაჯი ნიკა ამაშუკელი იქნება.

ქართველი რეფერი ნოემბრის სერიას ლონდონში, ინგლისისა და „ოლ ბლექსის“ შეხვედრით 19 ნოემბერს ასრულებს, სადაც უკვე გვერდით მსაჯად ვიხილავთ.


# სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**


## შედეგები

**4 ოქტომბერი**
**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ბაიერნი-პლზენი | 5:0 |
| მარსელი-სპორტინგი | 4:1 |
| ბრიუგე-ატლეტიკო | 2:0 |
| აინტრახტი-ტოტენჰემი | 0:0 |
| პორტუ-ლევერკუზენი | 2:0 |
| ინტერი-ბარსელონა | 1:0 |
| ლივერპული-რეინჯერსი | 2:0 |

# სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრი ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთის ომის ვეტერანი, პუბლიცისტი

**რაფიელ გელანტია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მთ.სპეციალისტის რიტა ცინდელიანის მეუღლე

**რაფიელ გელანტია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. კანიონი ხონის რაიონში; 2. ეთერზეთოვანი სუბტროპიკული მცენარე; 3. ინდივიდუალური კომპიუტერი; 4. ქართულ ბალეტ „დემონის“ კომპოზიტორი; 5. კარსტული მღვიმე იმერეთში; 7. პატარა აივნიანი სახლი ინდოეთში; 11. მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრი; 12. მარწყვის ჯიში; 13. იუმორისტული დრამატული ნაწარმოები; 14. რამდენიმე ელექტროსადგური ერთ მდინარეზე; 15. ესპანური წარმოშობის ფრანგი მხატვარი; 17. ციური სხეულების მოძრაობის გზა; 19. მარიონეტული თოჯინების სამართავი მოწყობილობა.

**თარაზულად:** 5. საადგილმამულო-საკრედიტო დაწესებულება ძველად საქართველოში; 6. სამართლის რომელიმე დარგის კანონთა კრებული; 8. ფულის ერთეული იაპონიაში; 9. უკრაინული სიმებიანი საკრავი; 10. კანის დაავადება; 11. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 13. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ; 14. სახელდახელოდ შესრულებული ნახატი ან ნახაზი; 16. იაპონური მოტოციკლეტი; 18. ზღვისპირა კურორტი გურიაში; 20. მდინარე დასავლეთ დვინას სახელწოდება ლატვიაში; 21. თეთრი ფერის ძველი ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პიკაპი; 2. საცივი; 3. მონცა; 5. რიცი; 6. ცერული; 8. სტამპა; 11. შავლაყაძე; 13. აჯამეთი; 14. ანტრაშა; 15. ბერბიჭა; 19. იოდი.

**თარაზულად:** 1. პალიასტომი; 4. პატრიცი; 7. კონფუცი; 9. ცენტონი; 10. ფშავი; 12. სემაფორი; 16. სამშვილდე; 17. ბალანსი; 18. პრევენცია; 20. ძილქუში; 21. ეირე; 22. კასტილია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჭილაძე; 2. გრინგო; 3. ქურხული; 4. სანიოლი; 5. ტარაბუა; 7. მეჯლისი; 11. ლიონი; 12. ნესტლე; 13. ნეოფიტი; 14. კორპუსი; 15. ბაგები; 17. უზნაძე; 19. ბობი.

**თარაზულად:** 5. ტაპიორი; 6. ქებურია; 8. გაჯი; 9. დურდო; 10. ბოლერო; 11. ლელა; 13. ნიკოლაძე; 14. კლოდი; 16. იურტა; 18. კაფია; 20. სორბიტი; 21. ბეიძინი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


6 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8055

ევრო — 2.7825

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1887

100 რუსული რუბლი — 4.7178

## ამინდის პროგნოზი 6 ოქტომბრისათვის




## ხავი: „ინტერთან წაგებას რ ვიმსახურებდით“



ბარსელონამ სტუმრად ინტერთან წააგო და ჯგუფში მდგომარეობა საკმაოდ გაირთულა. შეხვედრის მთავარმა არბიტრმა რამდენიმე გადაწყვეტილება ბარსელონას საწინააღმდეგოდ მიიღო და, ბუნებრივია, მატჩის შემდეგ ხავიმ სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება: „სამწუხაროა, რომ ბარსელონა იჩაგრება მსაჯების შეცდომების გამო და ინტერთან შეხვედრა პირველი არ ყოფილა. ასე გაგრძელება არ შეიძლება და უეფამ რაიმე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ინტერთან ცუდად არ გვითამაშია და ეს შეხვედრა არ უნდა წაგვეგო“.

## კლოპი: „რეინჯერსთან კარგი შეხვედრა ჩავატარეთ“



ლივერპულმა საკუთარ მოედანზე რეინჯერსი დაამარცხა 2:0 და ჯგუფში ლივერპულს გაცილებით უკეთესი მდგომარეობა აქვს, ვიდრე დასაწყისში. კლოპმა განაცხადა, რომ ის კმაყოფილია გუნდის თამაშით და შედეგით: „მინდა, რომ ყველა ფეხბურთელს მადლობა გადავუხადო, რადგან მათ კარგი შეხვედრა ჩაატარეს და, რაც მთავარია, ჩვენ შედეგს მივაღწიეთ. მომავალი მატჩები უკეთესი იქნება“.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ქალი კაცს ეუბნება:
– შენ მეორე ჩემნაირს ვეღარ იპოვი.
– შენნაირის მოძებნას აღარც ვაპირებ.

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:
– ჩემი ქმარი კარტოფილის საყიდლად გავგზავნე და მანქანა დაეჯახა.
– ვაი, რა საშინელებაა და ახლა რას აპირებ?
– ალბათ ბრინჯს მოვხარშავ...

•••

დედა შვილს ეძახის:
– შვილო, თავი დაანებე კატის წვალებას და ვიოლინო დაუკარი, იმეცადინე.
– დედიკო, ვმეცადინეობ, ვიოლინოზე ვუკრავ.
– მაშინ თავი დაანებე ვიოლინოს წვალებას და მოდი, სადილი ჭამე.

•••

მასპინძელი სტუმარს ეკითხება:
– აბა, რას დალევ, შამპანურს, ლუდს, ღვინოს, არაყს?
– იცი, სწორედ მაგ თანმიმდევრობით დავლევ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ლექსო თორაძეს ამერიკაში კონცერტი მიუძღვნეს



ცნობილი ქართველი პიანისტის ლექსო თორაძის ხსოვნას ნიუ იორკში 3-საათიანი საფორტეპიანო კონცერტი მიეძღვნა.

ხსოვნის საღამოში მონაწილეობა მიიღეს როგორც ქართველმა, ასევე უცხოელმა პიანისტებმა.

კონცერტზე დავით თორაძის, იოსებ ბარდანაშვილის, ვივალდის, ლისტის, ჩაიკოვსკის, შუმანის, შოპენის, რაველის, რახმანინოვის, პროკოფიევის, ბრამსის, ბახის, სტრავინსკის ნაწარმოებები შესრულდა.

ლექსო თორაძე ავადმყოფობის შედეგად რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა.

## ვახტანგ მაჭავარიანი: „ქართველებო, გაალღვიძეთ თქვენი საუკუნოვანი სული!“



ამ მიმართვას მაესტრო ვახტანგ მაჭავარიანი ავრცელებს:

– ყოველი ადამიანი პასუხისმგებელია მხოლოდ მის, თავის გადაწყვეტილებასა და ქცევაზე. ღმერთმა არ ქნას, მაგრამ თუ ჩემს ქვეყანას შეექმნა ამა თუ იმ ფორმის საშიშროება, მე მზად ვარ ვემსახურო ჩემს ქვეყანას იმ ფარგლებში, რასაც ჩემი 70 წლის ასაკი გასწვდება – ჯარში მძღოლად, ფელშერად, მზარეულად და მუსიკის სულის შთამბერავად. ადრე ვიყავი კარგი მსროლელი და თუ შემომრჩა ეს ნიჭი, ესეც გამოსადეგია.

ქართველებო, გაალღვიძეთ თქვენი საუკუნოვანი სული! ნუ დაჩმორდებით და ნუ დავარდებით. ნურავის მისცემთ უფლებას, რომ დაგჩაგროთ, ნურც შინაურ და ნურც გარეულ მომხდურს. სული ხორცზე უფრო დიდია! დიდება საქართველოს!

## „ნიჭიერთა ათწლედს“ ორღანი აჩუქეს



ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედს“ ორღანი აჩუქეს:

– „ნიჭიერთა ათწლედს“ დღემდე არ ჰქონდა ორღანი. როგორც იქნა დადგა სანატრელი დღე და არაჩვეულებრივმა მუსიკოსმა, დირიჟორმა კორნელია ფონ კერსენბროკმა, რომელსაც ხშირად იწვევენ საქართველოში, დირიჟორობს სიმფონიეტას, მონაწილეობს ბაროკო მუსიკის ფესტივალში. „ათწლედს“ აჩუქა ორღანი. მის ოჯახს დიდი ხანია ვიცნობ. მამამისი გერმანიაში ცნობილი ორღანის ხელოსანია.

როდესაც კორნელიას გავუზიარე ჩემი სურვილი, რომ ორღანი შეგვეძინა, მან „ათწლედს“ უსასყიდლოდ გადმოსცა 1898 წლის ორღანი, რომელიც სპეციალურად ჩვენთვის აღადგინა მამამისმა. ამ საქმის განხორციელებაში დაგვეხმარა ბატონი გია ქობულაშვილი, რომელმაც უზრუნველყო ორღანის საქართველოში ჩამოტანა და გერმანელი მეცენატის, ბატონი კლაუს ჰიპის დახმარებით ორღანის ძრავის შეძენა. ორღანის მოწესრიგება იკისრა ბატონმა პაატა ებრალიძემ. საბოლოოდ ორღანის აჟღერება შეძლო გერმანელმა ორღანის ხელოსანმა, ბატონმა მარკუს კირშნერმა, რომელთანაც დაგვაკავშირა ორღანისტმა ქალბატონმა ელენე ჭელიძემ. ბატონმა კირშნერმა უსასყიდლოდ დღეების განმავლობაში იმუშავა, გერმანიიდან ჩამოიტანა საჭირო ნაწილები და საბოლოოდ აგვისრულა ნატვრა, „ნიჭიერთა ათწლედში“ აჟღერდა ორღანი.

ულრმესი მადლობა მინდა გადაუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ სასიკეთო საქმეს თავი მოაბა. ბედნიერებაა, რომ არსებობენ ასეთი ადამიანები და რომ „ათწლედს“ ასეთი გულშემატკივრები ჰყავს საქართველოშიც და მის საზღვრებს გარეთაც, – განაცხადა „ნიჭიერთა ათწლედის“ დირექტორმა ნოდარ ჟვანიამ.

## გვანცა ჯობავა გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი გვანცა ჯობავა გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის ვიცე– პრეზიდენტად აირჩიეს.

სასიხარულო ინფორმაცია გვანცა ჯობავამ თავად გაავრცელა:

– მინდა ჩემი სიხარული გაგიზიაროთ! გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის წევრებმა არჩევნების გზით ამავე ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად ამირჩიეს, პირველ ქართველ ვიცე-პრეზიდენტად ასოციაციის 125 წელზე მეტი ისტორიის განმავლობაში. არჩევნებში მთელი მსოფლიოდან 114 წევრი ორგანიზაცია მონაწილეობდა. ვიცე-პრეზიდენტის პოსტს ოფიციალურად 2023 წლის 1 იანვარს ორი წლით დავიკავებ.

მიჭირს ემოციების გადმოცემა, მიჭირს გაცნობიერება, თუ რა ხდება ჩემ თავს, ცოტა დაბნეული და აღელვებული ვარ,



თუმცა სრულად მაქვს გააზრებული ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც ჩემმა უცხოელმა კოლეგებმა ამ საოცარი მხარდაჭერითა და მათ მიერ გაკეთებული ამგვარი არჩევანით დამაკისრეს. ვულოცავ ქართულ საგამომცემლო ინდუსტრიას, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე ამ საქმის პროფესიონალად, ეს ჩვენი საერთო წარმატებაა! და ვულოცავ ჩემს ქვეყანას, იმიტომ, რომ, ვფიქრობ, მომხდარი მორიგი დასტურია იმის, რომ მიუხედავად ჩვენი დაუსრულებელი ძნელბედობებისა, სამყაროს მაინც ვჭირდებით, სამყარო მაინც გვიღებს კარს და დიდ საქმეებსაც გვანდობს, მთავარია, ცოტა ჩვენც გავისარჯოთ და ეს ისედაც ღია კარი შევაღოთ.

ჰოდა, მეც ამ წარმატებას ვუძღვნი ჩემს სამშობლოს, ვუძღვნი უკრაინას და პოსტსაბჭოთა სივრცის ყველა ქვეყანას, რომლებიც გასული საუკუნის განმავლობაში დიქტატურამ ლამის სრულად გაგვაქრო მსოფლიო რუკიდან და გასული საუკუნის მიწურულიდან დღემდე დაულალავი ბრძოლა გვიწევს იმისთვის,

**გაგრძელება მე-5 გვერდზე**

## ამერიკაში ქართველი ხელოვანების კონცერტი გაიმართება

15 ნოემბერს ნიუ იორკში საქართველოსა და აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავის აღსანიშნავად საზეიმო ღონისძიება გაიმართება.

ღონისძიების ორგანიზატორია თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, პარტნიორები – კულტურისა და განათლების ფონდი და ამერიკული კულტურის ცენტრი.

კოსციუშკოს ფონდის პრესტიჟული დარბაზი უმასპინძლებს გალა-კონცერტს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სოპრანო მარიკა მაჩიტიძე, მეცო სოპრანო ირინა შერაზადიშვილი, ტენორი ბექა გოგინაშვილი, პიანისტი ნათია აზარაშვილი, ბარიტონი გიორგი ლომისელი, ბასისტი კოფი ჰეიფორდი.

ამავე საღამოს სტუმრები დაესწრებიან ქართული ღვინის დეგუსტაციას და ცნობილი ქართველი მხატვრის, ეთერ ჭკადუას გამოფენას.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 6 ოქტომბრისათვის

**ვერძი** – დაძაბული პერიოდია. ინტრიგები დილიდანვეა მოსალოდნელი. უეცარი დაბრკოლება თქვენს საქმეებზე უარყოფითად აისახება. **კურო** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. სიახლეების ნუ შეგეშინდებათ. **ტყუპები** – საქმიანი აქტივობისათვის შეუფერებელი დღეა. მოშურნეები ყველანაირად ხელს შეგიშლიან. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **კირჩხიბი** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **ლომი** – ხელმძღვანელობასთან და კოლეგებთან ცუდი ურთიერთობა გაქვთ. ნუ აჰყვებით ჭორებს და ერიდეთ საქმის გარჩევებს. **ქალწული** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **სასწორი** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **ღრიანკალი** – დაისვენეთ, ივარჯიშეთ. აქტიურობა სასიკეთოდ წაგადგებათ. ბუნების წიაღში გასვლა ნერვებს დაგიწყნარებთ. **მშვილდოსანი** – თქვენთვის დამახასიათებელი კომუნიკაბელურობის წყალობით საქმიანი პარტნიორების ყურადღებას მიიპყრობთ და ახალ მოკავშირეებსაც გაიჩენთ. გელით რომანტიკული თავგადასავალი. **თხის რქა** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **მერწყული** – ფინანსური საკითხები წარმატებით გადაწყდება. დაიცავით ზომიერება ნებისმიერი მოქმედებისას. **თევზები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის. დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. იაპონური ავტომობილი; 2. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 3. ელექტროავტომობილების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 5. ხორვატიის კუნძული ადრიატიკის ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 6. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 8. კომპანია „სონის“ დამფუძნებელი; 10. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 13. რიცხვის მეათასედი ნაწილი; 14. უნგრელთა მეორე სახელწოდება; 15. ცნობილი ბრაზილიელი არქიტექტორი; 19. სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული მოკლე მუსიკალური მისალმება.

**თარაზულად:** 1. ციტრუსების მყნობისთვის გამოყენებული სამყურა ლიმონი; 4. ქალთა ჯგუფური ცეკვა, რომელიც კაბარეში სრულდება; 7. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 9. სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 10. სამონასტრო კომპლექსი გორის მახლობლად: 12. ყველისგულიანი მჭადი; 16. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 17. ქარბორბალას სახელწოდება აშშ-ში; 18. პროფესიონალი დამსმენის, მსტოვრის, ჯაშუშის სახელწოდება ძველად საბერძნეთში; 20. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ძველად საქართველოში; 21. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 22. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

